

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 12

კ ე რ ძ ო ნ ა წ ი ლ ი

1. სატრანსპორტო დანაშაული
2. ყალბი დოკუმენტის დამზადება
3. პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა
4. დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება
5. სასჯელადსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა
6. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემა
7. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და ამ საგნით სარგებლობა
8. შეწყალება
 - განზრახ მკვლელობის მცდელობა
 - თავისუფლების უკანონო აღკვეთა
 - მითვისება, გაფლანგვა
 - მუქარა
 - ნარკოტიკული დანაშაული
 - ქრთამის მიცემა
 - ქურდობა
 - ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გასაღება
 - ხულიგნობა
 - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. სატრანსპორტო დანაშაული

განჩინება

#1519-აპ-08

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე)

პ. სილაგაძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ანის დამცველის, ადვოკატ გ. დ-შვილისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე -ფ. ჩ-ვას დამცველის, ადვოკატ კ. ო-ვას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-ანი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

განაჩენით გ. ბ-ანს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 16 ნოემბერს, დაახლოებით 9 საათზე, ქ. ქუთაისში, საავტომობილო გზაზე გ. ბ-ანი ავტომანქანით, მოძრაობდა ქუთაისის ცენტრის მიმართულებით. მან მოძრაობისას არ გაითვალისწინა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა და დაეჯახა მარჯვენა გვერდულზე მდგარ ნ. ჩ-ვასა და კ. ჩ-ვას, აგრეთვე, მარჯვენა გვერდულზე მდგარ ფ. ჩ-ვას კუთვნილ "გაზ-24" ავტომობილს. დაჯახების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო ნ. და კ. ჩ-ვები გადაიყვანეს ქალაქ ქუთაისის ზავშეთა საავადმყოფოში, სადაც ნ. ჩ-ვა საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. ბ-ანის ადვოკატმა გ. დ-შვილმა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ჩ-ვას ადვოკატმა კ. ო-ვამ.

აპელანტი, მსჯავრდებულ გ. ბ-ანის ადვოკატი გ. დ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ გ. ბ-ანი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, წარსულში არ არის ნასამართლევი, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი.

აპელანტი, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ჩ-ვას ადვოკატი კ. ო-ვა საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის საურესოდ, კერძოდ, გ. ბ-ანისათვის სასჯელის ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას იმ მოტივით, რომ იგი გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ბ-ანის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ბ-ანის ადვოკატმა გ. დ-შვილმა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ჩ-ვას ადვოკატმა კ. ო-ვამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი, ადვოკატი გ. დ-შვილი საჩივრით ითხოვს, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, გ. ბ-ანისათვის შეფარდებული სასჯელის განახევრებას.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის -ფ. ჩ-ვას ადვოკატი კ. ო-ვა იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად სასჯელის დამძიმების, კერძოდ კი -გ. ბ-ანისათვის სასჯელის ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ბ-ანის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნათა საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ანის დამცველის, ადვოკატ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ჩ-ვას დამცველის, ადვოკატ კ. ო-ვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა გ. ბ-ანმა ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულებაც არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. ბ-ანისათვის თავისუფლების აღკვეთისა და ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო და ლომობიერ ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორ კ. ო-ვას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან არ არსებობს აღნიშნული განაჩენის გაუქმების საფუძველი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორ გ. დ-შვილის მოთხოვნა და მსჯავრდებულ გ. ბ-ანის მიმართ უნდა გავრცელდეს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი უნდა გაუნახვერდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ბ-ანის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ანის დამცველის, ადვოკატ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ჩ-ვას დამცველის, ადვოკატ კ. ო-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ბ-ანს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული ძირითადი სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით -გაუნახვერდეს და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ გ. ბ-ანის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო დანაშაული

განჩინება

#1322-აპ-08

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ა. ს-ძეს, -ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 27 მაისს, დაახლოებით 15 საათსა და 50 წუთზე, ხარაგაულის რაიონში საავტომობილო გზაზე მთვრალი ა. ს-ძე "BM3-ს" მოდელის ავტომობილით, მოძრაობდა ქალაქ ქუთაისის მიმართულებით, რა დროსაც არ გაითვალისწინა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის 29.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადავიდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში და გადავარდა მდინარე ძირულის ხეობაში. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალნენ მისი მგზავრები -ნ. ს-ძე და ხ. ს-ძე, ხოლო ნ. ა-ძემ კი მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ა. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით და სასჯელის სახედ დაზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 3 წლის ვადით.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულმა ა. ს-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აპელანტი -მსჯავრდებული ა. ს-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ: აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას. ძალიან განიცდის მომხდარს, რადგან გარდაცვლილები იყვნენ მისი ბიძაშვილის შვილი და ბიძაშვილის მეუღლე. ამასთან, იგი ხონში წავიდა სწორედ იმ ნათესავების თხოვნით, რომლებიც ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალნენ. მართალია, თავიდან უარი თქვა წასვლაზე, რადგან "პანმელიის" გამო იყო შეუძლოდ, მაგრამ ვინაიდან მათ დახმარება სჭირდებოდათ და სხვა საშუალება არ ჰქონდათ უკან დასაბრუნებლად, უარი ვედარ უთხრა. თბილისიდან გამომგზავრებისას იგოეთში იყიდა ერთი ბოთლი კონიაკი "თბილისური" და დალია 100 გრამი. შემდეგ ხაშურში გაიარა მამიდის მოსანახულებლად და იქიდან წამოსულმა განაგრძო გზა ხონის მიმართულებით. ამის შემდეგ ავარიამდე რა მოხდა, აღარ ახსოვს. აზრზე საავადმყოფოში მოვიდა. იქ გაიგო, რომ ავარიის შედეგად გარდაიცვალა მისი ბიძაშვილის შვილი, ხოლო მისი მეუღლე ნ. ა-ძე და ხ. ს-ძე იყვნენ მძიმედ. მოგვიანებით სასამართლო სხდომაზე მოსამართლისაგან შეიტყო ნ. ს-ძის გარდაცვალების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენით ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განაჩენში ა. ს-ძის მიმართ შევიდა შემდეგი ცვლილება: ა. ს-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ს-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი თავისი საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ს-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა ა. ს-ძემ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულის არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ა. ს-ძისათვის თავისუფლების აღკვეთისა და ავტომატური მართვის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულ ა. ს-ძის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებებად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მი-აჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. ს-ძის მიმართ, ვინაი-დან ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ა. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მხოლოდ მერვე ნაწილით, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით. აღნიშნული განაჩენი სა-აპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ არც დაზარალებულის უფლებამონაცვლეს და არც სახელმწი-ფო ბრალმძებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ა. ს-ძის საქმის განხილვისას დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-ცესო კოდექსის 540-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძ-ლია, გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდე-ბის მხარის სხვა წარმომადგენელს სააპელაციო საჩივარი შეტანილი აქვთ ასეთი მოთხოვნით. რად-გან რაიონული სასამართლოს განაჩენზე არ არსებობს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენი ა. ს-ძის მიმართ უნდა შეიცვალოს კვალიფიკაციის ნაწილში, კერძოდ: ა. ს-ძეს მსჯავრდებიდან უნდა ამოერიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილზე, როგორც არასწორად შერაცხულზე სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ა. ს-ძე მსჯავრდებიდან ამოერიცხოს მითითე-ბა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაზე, როგორც არასწორად შერაცხულზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულ ა. ს-ძის მიმართ და-ნიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო დანაშაული

განჩინება

#483-09

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით გ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I პუნქტის გამოყენებით დანიშნული სასჯელი გაუნახვერდა და განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 2 თვე, 25 დღე და გ. ნ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით, 8 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე მართვის უფლება ჩამოერთვა 2 წლითა და 6 თვით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით გ. ნ-შვილს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 21 აპრილიდან.

განაჩენით გ. ნ-შვილს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 თებერვლის განაჩენით გ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, 218-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით იგი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 18 მარტის განაჩენით გ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის კანონი) და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე, 9 თვისა და 5 დღის მოხდის შემდეგ, დარჩენილი 4 წელი, 2 თვე და 25 დღე ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით და დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა -10 000 ლარი.

პირობითი მსჯავრის პერიოდში გ. ნ-შვილმა კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული, კერძოდ:

2008 წლის 20 აპრილს გ. ნ-შვილი „ბზობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით „ჰამერი-3-3“ მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო იმყოფებოდა ხარაგაულის რაიონში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ურთიერთშელაპარაკება მოუხდა იმავე სოფელში მცხოვრებ ს. და ე. ს-ძეებთან და იქ მყოფ სხვა მოქალაქეებთან. აღნიშნულის შემდეგ გ. ნ-შვილი ჩაჯდა ავტომანქანაში და მოძრაობა დაიწყო ეკლესიასთან გამავალ საავტომობილო გზაზე, სადაც ხალხი იყო შეკრებილი, რა დროსაც მან დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27.1 მუხლისა და 29.1 მუხლების მოთხოვნები და დაეჯახა ქვეითად მოსიარულე, ხარაგაულის რაიონში მცხოვრებ გ. ს-ძეს. შეჯახების შედეგად იგი წაიქცა და მიიღო სიცოცხლისათვის

სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. გ. ს-მე მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

აპელანტი -მსჯავრდებული გ. ნ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამართლებას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი გარემოებებით:

გასაჩივრებული განაჩენით მის მიმართ შერაცხული ბრალი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საფუძვლად დაედება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას; ურთიერთსაწინააღმდეგო ბრალდების მხარის მოწმეების: ჯ. ს-ძის, რ. ბ-შვილისა და რ. ს-ძის ჩვენებები, რაც სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა; ასევე საქმეში არსებულმა კომისიურ-კომპლექსურმა ავტოტექნიკურმა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებმა გამორიცხეს აღნიშნულ დანაშაულში მისი მონაწილეობა და ბრალეულობა; სასამართლომ იგნორირება გაუკეთა საქმეში მოწმის სახით დაკითხული სასულიერო პირების -გ. კ-ძისა და მ. გ-ძის, ასევე მოწმეების: მ. ს-ძის, ნ. კ-ძის, ხ. ლ-ვასა და ს. კ-ძის ჩვენებებს, რომლებიც დეტალურად ადასტურებენ იმ ფაქტს, რაც მოხდა "ზოზის" დღესასწაულზე და გამოირიცხავენ ყოველგვარ ავტოსაგზაო შემთხვევას. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დაზარალებულ მხარეს მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია და არც რაიმე ზიანის ანაზღაურება მოუთხოვია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენით ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ნ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. იგი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების დარღვევით. კასატორმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მალეები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენი გ. ნ-შვილის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგ გარემოებების გამო:

გ. ნ-შვილის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს -მოწმეების: ე. ს. და ლ. ს-ძეების, მ. ყ-ძის, ს. და გ. ს-ძეების, ჯ. ს-ძის, რ. ბ-შვილისა და რ. ს-ძის, ასევე უზნის ინსპექტორ-გამომძიებლების -რ. გ-ძისა და დ. გ-ძის ისეთ ჩვენებებს, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევის არა თვითხილვას, არამედ სხვის მიერ გადმოცემულ ფაქტებზეა დამყარებული.

მსჯავრდებულმა გ. ნ-შვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო არც წინასწარ და არც სასამართლო გამოძიებაში. თავის ჩვენებებში მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 20 აპრილს „ზოზის“ დღესასწაულზე ჩხუბი დაიწყო ორი ნასვამი მამაკაცის გამო. იგი გაგრძელდა ეკლესიის ეზოში, ეკლესიიდან 20-25 მეტრის მოშორებით, იმ ადგილზე, სადაც მამა მ. იდგა ხალხთან ერთად. ჩხუბის ხმაზე ბერების საცხოვრებლიდან გამოსულმა გ. ნ-შვილმა დაინახა, რომ ერთი ჭადრატიანი მოხუცი წაიქცა. ხალხის ერთი ნაწილი ეკლესიის მსახურთა საცხოვრებლისკენ იწევედა, სადაც მისი თანმხლები გოგონები იყვნენ. გ. ნ-შვილი ცდილობდა, რომ ხალხი ეზოში არ შეეშვა. ხალხს წინააღმდეგობას უწევდა მამა პ. ა. ამ დროს მივარდა მათთან ბავშვი და ითხოვა წყალი მოხუცის დასახმარებლად. ის და მამა პ. მაშინვე მოხუცისკენ წავიდნენ. მოხუცის მხრები ხელებით ეჭირა მამა მ-ს, რომელმაც გ. ნ-შვილს უყვირა "მოაყენე მანქანა და საავადმყოფოში წამაყვანინეო". იგი გაიქცა 20 მეტრში მდგარი თავისი მანქანისაკენ. მოხუცამდე რომ მიეღწია, ხალხის დაშლის მიზნით, მანქანა რამდენჯერმე დაამუხრუჭა. ამით მის გარშემო შემოხვეული ხალხი თითქმის დაშალა და მოხუცამდე მიაღწია. იგი მანქანაში ჩასვეს. მას მანქანაში ჩაუსხდნენ მ. ს-მე, ხ. ლ-ვა და დაზარალებული წაიყვანეს საავადმყოფოში.

არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-

ტამ დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად ერთი და იმავე სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ძირითადად -ბრალდების მოწმეების ჩვენებების გათვალისწინებით, ძალაში დატოვა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოწმე ჯ. ს-მე წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში აღნიშნავს: „ავტომანქანამ დაამუხრუჭა და დაეჯახა სოფელ უბისაში მცხოვრებ, სახლში მიმავალ გ. ს-მეს, რომელიც გადაისროლა წინ, დაახლოებით სამ მეტრში. ავტომანქანა გ. დაეჯახა წინა მხრიდან“. სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში მოწმე აღნიშნავს: „მას მანქანა დაეჯახა უკნიდან და როგორ დაეცა ზურგით, ეს მიკვირს, მე დავინახე მანქანის დაჯახებაც და გ. ს-მის წაქცევაც“.

წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში იგივე მოწმე აღნიშნავს: „წაქცეულ გ. მანქანაში ჩასმაში დაეხმარა რ. ს-მე და ჯ. ს-მე“, ხოლო სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში პროკურორის და დამცველის შეკითხვაზე, ნახა თუ არა მან შემთხვევის ადგილზე რ. ს-მე და რ. ბ-შვილი -უარყოფითი პასუხი გასცა.

მოწმე რ. ს-მე წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ „მანქანა, რომლის საჭესთანაც გ. ნ-შვილი იჯდა, მიდიოდა და დროდადრო ამუხრუჭებდა. გ. ს-მემ გადასვლა ვეღარ მოასწრო, მას მანქანა დაეჯახა წინა, მარცხენა მხრით, იგი გულადმა გადავარდა, კბილები ჩაემტვრა და თავი დაარტყა“. სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში კი აღნიშნა: „გ. ს-მეს მანქანამ ახლოს გაუარა, მოხუცს შეეშინდა, მარცხენა მხარეს, კრილოსა და სარკეს შორის ხელეებით დაეჯახა“. მან ჩვენებაში აღნიშნა, რომ მძღოლს დაზარალებულის მანქანაში ჩასმაში დაეხმარნენ რ. რ. და მ. ს-ძეები.

მოწმე ტ. ს-მე კი წინასწარ და სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ რ. ს-მე მოხუცის დაცემის დროს იქ არ იყო, ხოლო რ. ბ-შვილი იმ დროს იჯდა თავისი სახლის ჭიშკართან, მონასტრიდან 20-30 მეტრში და იმის გამო, რომ ბევრი ხალხი იყო, ამ შემთხვევას თავისი თვალთ ვერ დაინახავდა.

მ. ს-მემ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ „მანქანის დაძვრის დროს მანქანა წინა მხარით დაეჯახა გ. ს-მეს და იგი ძირს დაეცა“. სასამართლოში მან შეცვალა ჩვენება და აღნიშნა: „მანქანასთან უკანა მხრიდან რომ მივედი, აწ გარდაცვლილის შვილიშვილმა დამიძახა -„ბაბუას მიხედო“. მე მაშინ დავინახე წაქცეული გ. მანქანის დაჯახება არ დამინახავს. წინასწარ გამოძიებაში იმიტომ მივეცი ის ჩვენება, რომ გამოძიებელმა მითხრა, თუ იტყვი, რომ მანქანის დაჯახება არ დამინახავს, პრობლემები შეგექმნებაო. ჩვენებას ხელი ისე მოვაწერე, არ წამიკითხავს“.

მ. ს-მემ ამის შემდეგ კიდევ შეცვალა ჩვენება.

მ. გ-მემ (მამა მ.) ჩვენებაში აღნიშნა, რომ „ჩხუბის დროს ეკლესიის მსახურებს მოგვაცენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამ დროს გ. ს-მე წაიქცა, მე მას მივუახლოვდი და ხელში ავიყვანე, წყალი მოვითხოვე და ვითხოვე მისი საავადმყოფოში წაყვანა. წყალი მამა პ. მომიტანა.

გ. ნ-შვილს უნდოდა დახმარება, მაგრამ სოფლის ნასვამი მოსახლეობა არ უშვებდა, ესროდა ქვებს მას და მის მანქანასაც, რომელიც ჩვენგან 20-30 მეტრში იდგა. მე დავინახე, რომ ის ჩაჯდა მანქანაში და ძლივს მოაღწია ჩვენამდე. ავტომანქანა მოხუცის წაქცევიდან 5-10 წუთში მოვიდა“.

ანალოგიური ჩვენებები მისცეს მამა პ. (გ. კ-მე) და გ. ქ-მემ (ეკლესიის მორჩილი).

დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა საქმეზე კომისიურ-კომპლექსური ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტი დ. გ-იანი, რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა #3381/14/25-616/35 და აჩვენა, რომ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში სახელმძღვანელოდ მიჩნეულია მოწმეების -ჯ. ს-მის, რ. ბ-შვილის და რ. ს-მის განმარტებები. მან აღნიშნა, რომ „თუ ქვეითად მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახებოდა წინა ნაწილით, მაშინ ადგილი ექნებოდა ქვეითად მოსიარულის ვარდნას ავტომობილის მოძრაობის მიმართულებით, ავტომობილის წინ (გზის სავალ ნაწილზე) და იგი ვერ აღმოჩნდებოდა გზის გვერდულზე. ხოლო თუ ავტომობილის კონტაქტი ქვეითად მოსიარულის მიმართ განვითარდებოდა გვერდითი ნაწილით, ასეთ ვითარებაში არ არის გამორიცხული, რომ ქვეითად მოსიარულე გადავარდა გზის გვერდულზე. გ. ს-მის სხეულზე არსებული დაზიანებები, თავიანთი მორფოლოგიური სურათიდან გამომდინარე, არ ატარებენ ავტოსაგზაო შემთხვევისათვის დამახასიათებელ ან სპეციალურ დაზიანებათა ნიშნებს. ეს დაზიანებები ს-მეს შეეძლო მიეღო დაცემით, განურჩევლად იმისა, თუ რა წაქცევდა მას“.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა გ. ც-მემ, რომელიც ხელს აწერს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნას #3381//14/25/615/35 სამედიცინო განხრით, პროცესზე დაადასტურა ის, რაც დასკვნაშია მითითებული: რომ გ. ს-მის სხეულზე არსებული დაზიანებები არ ატარებს ა/საგზაო შემთხვევისთვის დამახასიათებელ არც სპეციფიკურ და არც ნიშანდობლივ თვი-

სებებს. ამიტომ დასკვნაში ზოგადად აღინიშნა, რომ გ. ს-მის სხეულზე არსებული დაზიანებანი განვითარებულია მკვრივი, ზღაგვი საგნის (ან საგანზე) ზემოქმედებით და მას აღნიშნული დაზიანებები შესაძლებელია მიეღო წაქცევით, განურჩევლად იმისა, რის გამო წაიქცეოდა იგი: ხელისკვრით, ავტომობილის გვერდითი კონტაქტით თუ სხვა გარემოებებით.

სასამართლოს მიერ დანიშნული კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია: „ავტომობილის ადამიანზე კონტაქტის დროს უმეტეს შემთხვევაში ავტომობილზე რჩება კვლები, ეს კვლები შეიძლება იყოს როგორც საღებავის მკრთალი აშრეების, ისე დეფორმაციების და ძლიერი დეფორმაციების სახით“, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. იგივე აღინიშნა ექსპერტ ნ. ა-ლის დასკვნა #3381/20-ში, სადაც აღნიშნულია: „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გ. ს-მის გარე ტანსაცმლის ზედაპირზე რაიმე ლაქ-საღებავის დანაშრევი, მინალესის ან თავისუფლად მდებარე ნაწილაკების სახით არ აღინიშნება“.

ზემოთხსენებულთან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან: ამოღების, შემთხვევის ადგილისა და ავტომანქანის დათვალიერების, ჩხრეკის ოქმებიდან, სასამართლო-ავტოტექნიკური, ტრასოლოგიური ექსპერტიზის, კომისიურ-კომპლექსური ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #338/14-25-616/35 დასკვნებიდან და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე“. იმავე კოდექსის 132-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად: „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“, ასევე მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად: „განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას“, ხოლო მე-10 მუხლით: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

განაჩენი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პირის დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სასამართლომ არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს, რითაც დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 539-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. იგივე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი: „სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ“.

როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უხეშად დაარღვიეს სსსკ-ის 539-ე მუხლის ყველა პუნქტი, კერძოდ: განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს; სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები გ. ნ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს ხელახლა უნდა დაიკითხონ მოწმეები და ექსპერტები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი-
თა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენი გ. ნ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ყალბი დოკუმენტის დამზადება

განჩინება

#484-აპ

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენ-
ლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. რ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ
ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-
ლატის 2009 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის განაჩენით ნ. რ-ი ცნობილ იქნა
დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის
„გ“ ქვეპუნქტებით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით,
დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარი, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-
ქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 2000 ლარი,
რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძ-
ველზე გაუნახევრდა და დაენიშნა ჯარიმა 1000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი
ნაწილის გამოყენებით ნ. რ-ს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი,
ხოლო დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სა-
სამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ნ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და-
ნიშნული პირობითი მსჯავრი, სულ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და წინა განაჩენით დანიშ-
ნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, კერძოდ, 4 წელი, 11 თვე და 25 დღე მთლიანად დაემატა
ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და ნ. რ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა
1000 ლარი და 14 წლით, 11 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით
სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარი.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ნ. რ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნ. რ-ი ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 28 დეკემბერს გასამართლა საქართველოს
სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-
სათვის და სასჯელის სახედ შეუფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე
მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ასევე დამატებითი სასჯე-
ლის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
ის არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული, კერძოდ, 2008 წლის
იანვარში იგი გაეცნო დ. რ-ს და მის მამას -ნ. რ-ს, როგორც საქართველოს შს კონსტიტუციური
უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი, ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით, დ. რ-ს
შეჰპირდა საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, აჭარის ა/რ-ის

მთავარ სამმართველოში მუშაობის დაწყება. მან დ. რ-ს მამას -5. რ-ს, თითქოსდა მუშაობის დაწყებისათვის საჭირო საბუთების შესადგენად გამოართვა თანხა -100 აშშ დოლარი და ასევე დ. რ-ს პირადობის მოწმობა. დაახლოებით ოთხი დღის შემდეგ, იგი თავისი კუთვნილი მობილური ტელეფონით, დაუკავშირდა დ. რ-ს მის კუთვნილ მობილურ ტელეფონზე, და სთხოვა შეხვედრა. შეხვედრისას, მას შემდეგ, რაც ნ. რ-ს ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ დ. რ-ს იყო ნასამართლევი, თითქოსდა ნასამართლობის მოხსნისათვის კვლავ ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით, დ. რ-ს მამას -5. რ-ს მოტყუებით გამოართვა თანხა -300 აშშ დოლარი, რომელიც მან ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. ხსენებული თანხის გამორთმევის შემდეგ იგი კვლავ დაუკავშირდა დ. რ-ს მის კუთვნილ მობილურზე, და განუცხადა, რომ სამხედრო ბილეთის ასაღებად საჭირო იყო მისი თბილისში ჩასვლა და ასევე -თანხა 200 ლარი. დ. რ-ს თბილისში ჩასვლის შემდეგ მან კვლავ ქონებრივი გამორჩენის მიზნით, მოტყუებით გამოართვა 200 ლარი თითქოსდა სამხედრო ბილეთის ასაღებად, დამატებით კიდევ ხარჯებისთვის -150 ლარი. ქალაქ თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ის კვლავ დაუკავშირდა დ. რ-ს და თითქოსდა მისი სამსახურში მოწყობის საქმის დასამთავრებლად, კვლავ ნდობის ბოროტად გამოყენებით გამოართვა 125 ლარი. თანხის გამორთმევიდან 5 დღის შემდეგ ის მივიდა დ. რ-ს საცხოვრებელ სახლში და თითქოსდა სამსახურებრივი ფორმის შეკერვის მიზნით, მოტყუებით დ. რ-ს მამას -5. რ-ს გამოართვა 45 ლარი. თანხის გამორთმევის შემდეგ, მან დ. რ-ს ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „ელიტიდან“ მუსიკალური ცენტრის განვადებით გამოტანისათვის გამოართვა 175 ლარი, რაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. 2008 წლის 18 მარტს ნ. რ-ს დ. რ-ს სამსახურში მოწყობისათვის დამატებით კიდევ მოსთხოვა 150 ლარი, რომელიც დ. რ-მ გადასცა ნ. რ-ს 2008 წლის 19 მარტს ქალაქ თბილისში, მდებარე შპს „ექსპრესჯორჯიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ნ. რ-ი დანაშაულის ჩადენისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა დააკავეს. ზემოაღნიშნული ქმედებით ნ. რ-ს დაზარალებულ დ. რ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი -400 აშშ დოლარისა და 845 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ნ. რ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ხ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ნ. რ-ს გამართლებას იმ საფუძველზე, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სასამართლომ განაჩენი ააგო ვარაუდსა და ეჭვზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, რომ საქმეში არ მოიპოვება ნ. რ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის რაიმე მტკიცებულება, კერძოდ:

დაზარალებულ დ. რ-სა და მოწმე ნ. რ-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ ნ. რ-ი დ. რ-ს შეჰპირდა საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ა\რ-ის მთავარ სამმართველოში მუშაობის დაწყებას და მოტყუებით გამოართვა 400 აშშ დოლარი და 845 ლარი.

მოწმე ვ. ხ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ იგი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების ჰიდროგრაფიული სამსახურის აჭარის რეგიონის კორექტორის თანამდებობაზე და ჰქონდა ა#026 მოწმობა. ნ. რ-ი არის მისი ცოლის ძმისშვილი. მოწმეებმა -ვ. ხ-მ და ლ. რ-ს აღნიშნეს, რომ მათთვის უცნობია, თუ როგორ მოხდა აღნიშნული მოწმობა ნ. რ-ს ხელში.

ნ. რ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დასტურდება, რომ იგი დააკავეს 2008 წლის 19 მარტს, როდესაც დ. რ-ს მას გადასცემდა სპეციალური ქიმიური ნივთიერებით დამუშავებულ 150 ლარს. ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა 150 ლარი, ასევე პალატა ხელადის სახელზე გაცემული თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის მოწმობა, ნ. რ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი და სხვა პირადი ნივთები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნ. რ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია ასევე ოქმით ფულის დამუშავების შესახებ, ფულადი ნიშნის დათვალიერებისა და მოწმისათვის გადაცემის შესახებ ოქმით, ექსპერტიზების დასკვნით, სატელეფონო საუბრების კრებებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ნ. რ-ს სსკ-ის

362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და, შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუმსუბუქდეს სასჯელი.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. რ-ა არაერთგზის დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი. ამ დოკუმენტის დამზადებისას ნ. რ-ს მიზანი იყო მისი გამოყენება.

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი ითვალისწინებს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას გასაღების მიზნით, გასაღებას ან გამოყენებას.

მართალია, საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია ნ. რ-ს მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის არაერთგზის დამზადების ფაქტი, მაგრამ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ეს ქმედება აღარაა დასჯადი, თუ პირს არ ამოძრავებს ამ დოკუმენტის გასაღების მიზანი ან თუ იგი მას არ გამოიყენებს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან ეყრდნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განაჩენი შეიცვალოს, კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში ნ. რ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

მსჯავრდებულ ნ. რ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით, დამატებით სასჯელად -ჯარიმა 2000 ლარი, 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო დამატებით სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებით ნ. რ-ს მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო დამატებით სასჯელად -ჯარიმა 2000 ლარი, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 11 თვე, 25 დღე და ნ. რ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 11 წლით, 11 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო დამატებით სასჯელად -ჯარიმა 2000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა

განჩინება

#342-აპ-09

7 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

ზ. მეიშვილი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ზ. და გ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: დ. ხ-ს, ლ. კ-ა და მ. ჭ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით, ზ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის II ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის I ნაწილზე.

ზ. გ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით -16 წლით თავისუფლების აღკვეთა, 353-ე მუხლის I ნაწილით -2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. გ-ს 5 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვისა და პასიური საარჩევნო უფლებები.

გ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის II ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის I ნაწილზე.

გ. გ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, 353-ე მუხლის I ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ს 5 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვისა და პასიური საარჩევნო უფლებები.

ისინი სასჯელს იხდიან 2007 წლის 31 იანვრიდან.

მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის IV ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით -17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. მ-ს 5 წლით ჩამოერთვა პასიური საარჩევნო უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. გ-მ ჩამოაყალიბა ორგანიზებული ჯგუფი სხვა ქვეყანაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნისა და მისი საქართველოში უკანონოდ შემოტანის მიზნით. მან საფრანგეთში მყოფ თავის მეგობარს -მ. მ-ს მისცა დავალება, შეეძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და უზრუნველყო მისი საქართველოში გადმოგზავნა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. მ-ს გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში შეიძინა ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბები, რომლებიც მოათავსა ასევე დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით შექმნილ „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანის უკანა სალონის მარცხენა კარის სამალავში. მ. მ-ს მიერ გერმანიიდან განხორციელებული სატელეფონო საუბრით ზ. გ-ს ცნობილი გახდა, რომ გერმანიიდან გამოგზავნილი ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“ 2007 წლის 30 იანვარს იქნებოდა დანიშნულების ადგილზე, ქ. ფოთის საბაჟო ტერმინალში.

ქალაქ ფოთიდან ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ ქალაქ თბილისში ჩამოსაყვანად და მასში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალების გადმოტანის უზრუნველყოფის მიზნით, ზ. გ-ს დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ბიძაშვილს -გ. გ-ს. მათ წინასწარი შეთანხმებით გადაწყვიტეს, შეეძინათ ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარებისათვის. 2007 წლის 30 იანვარს მათ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ შემცველი 4 აბი, რომელსაც ინახავდნენ უკანონოდ. 2007 წლის 30 იანვარს ზ. გ-ს და გ. გ-ს ჩავიდნენ ქალაქ ფოთში თბილისი-ფოთის მატარებლით. მათ გზაში მოიხმარეს თითო აბი ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 31 იანვარს, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ფოთის საბაჟო ტერმინალიდან გამოიყვანეს გერმანიიდან ზ. გ-ს სახელზე გამოგზავნილი „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანა, რომლის უკანა სალონის მარცხენა კარის სამალავში ჩადებული იყო ასევე გერმანიიდან გამოგზავნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბები. გ. გ-ს დაჯდა საქესთან, ხოლო ზ. გ-ს -მის გვერდით და გაემართნენ ქალაქ თბილისის მიმართულებით.

საქმეზე გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 2007 წლის 31 იანვარს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქალაქ ფოთში, დააკავეს ზ. გ-ს და გ. გ-ს, რომლებმაც წინასწარი შეთანხმებით, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, პოლიციის თანამშრომლებს გაუწიეს წინააღმდეგობა მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, კერძოდ: გ. გ-მ თავისი ავტომანქანა დასწია უკან, რადროსაც იგი დააჯახა პოლიციის მუშაკს -ი. ქ-ს, რითაც ამ უკანასკნელმა მიიღო დაზიანება მარცხენა მუხლის სახსრის არეში, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს. გ. გ-ს დაკავების ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რადროსაც მისი შავი ფერის ტყავის ქურთუკის შიდა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ ტყავის საფულეში აღმოჩნდა უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი 2 აბი, რაც ქიმიური

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, წარმოადგენს „ბუპრენორფინის“ შემცველ ქარხნულ აბებს, რომლებშიც ნარკოტიკული ნივთიერების საერთო შემცველობაა 0, 016 გრამი. ასევე ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ ჩხრევის შედეგად, მანქანის უკანა სალონის მარცხენა კარის სამალავიდან ამოიღეს 396 აბი და 4 აბის ნატეხი, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს „ბუპრენორფინის“ შემცველ ქარხნულ აბებს, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალების საერთო შემცველობა შეადგენს 3, 193 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. კ-მ და ზ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ხ-ა.

აპელანტი, მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. კ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ს 353-ე მუხლის I ნაწილით წაყენებულ ბრალდებას, იგი აღნიშნავდა, რომ პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის შერაცხულ ქმედებაში გ. გ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ, ვინაიდან პოლიციის თანამშრომლები იყვნენ ფორმის გარეშე და მათ სათანადო დოკუმენტაცია არ წარუდგენიათ. აქედან გამომდინარე, მან ჩათვალა, რომ თავს დაესხნენ ყაჩაღები და უპირებდნენ ავტომანქანის წართმევას. სწორედ ამის გამო დაძრა ავტომანქანა, ხოლო როცა გაიგო, რომ ისინი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, მაშინვე დაემორჩილა.

აპელანტი, ზ. გ-ა ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ხ-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ზ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ს 353-ე მუხლის I ნაწილით წაყენებულ ბრალდებას, იგი აღნიშნავდა, რომ პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის შერაცხულ ქმედებაში ზ. გ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ, ვინაიდან იგი იჯდა მძღოლის გვერდით და მას მანქანასთან, კერძოდ, საჭესთან არავითარი შეხება არ ჰქონია.

საკასაციო საჩივრით აპელანტები ასევე აღნიშნავდნენ, რომ საქმეში არ არის არანაირი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ზ. და გ. გ-ა იცოდნენ გერმანიიდან გამოგზავნილ ავტომანქანაში ნარკოტიკული საშუალების არსებობის შესახებ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუკი პოლიციის თანამშრომლებისათვის ცნობილი იყო, რომ გერმანიიდან გამოგზავნილ ავტომანქანა „ოპელ-ვექტრაში“ ინახებოდა 396 აბი „სუბუტექსი“, მაშინ რატომ არ დააკავეს ისინი ფოთის საბაჟო ტერმინალის ეზოში?

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენში შევიდა ცვლილება იმ მიმართებით, რომ ზ. და გ. გ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხათ მითითება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისა და პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ. სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-მ და ზ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ხ-ა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. უზენაესმა სასამართლომ განაჩენის გაუქმების მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო არავითარი ზომები, რათა დ. ხ-ს შეეტყობინებინა საქმის განხილვის თარიღი და მსჯავრდებულ ზ. გ-ს დასაცავად პროცესზე ისე მიიწვია სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ზ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 353-ე მუხლის I ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შვიკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის I ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შვიკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ზ. გ-ს სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“ მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების _ზ. და გ. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკა-

ტებმა: ლ. კ-მ, მ. ჭ-მ და დ. ხ-ა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები -ზ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები: ლ. კ-ე, მ. ჭ-ე, დ. ხ-ი და გ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-ე საჩივრებით ითხოვენ უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას, საქმის წარმოებით შეწყვეტასა და მსჯავრდებულების გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ზ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: ლ. კ-ს, მ. ჭ-ა და დ. ხ-ს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის -მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებულ განაჩენში კი უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო.

პალატა არ ეთანხმება კასატორების მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმების, საქმის წარმოებით შეწყვეტისა და მსჯავრდებულების -ზ. გ-ა და გ. გ-ს გამართლების შესახებ, რადგან მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია საქმეზე შეკრებილი შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებულ ი. ქ-ს და მოწმეების ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, ავტომანქანის ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ექვმიტანილთა დაკითხვის ოქმებით, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებებით, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანებით, ქიმიური ექსპერტიზის #145/სქ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #751/30, ექსპერტიზის #ს/174 დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით.

დაზარალებულ ი. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2007 წლის 31 იანვარს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სპეცოპერაციისას, ქ. ფოთში, „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურთან, მიუხედავად მათ მიერ გაწეული წინააღმდეგობისა, დააკავეს ზ. და გ. გ-ი, რადროსაც ამოღებულ იქნა 396 აბი და 4 აბი ნატეხი „სუბუტექსი“.

ანალოგიურ ჩვენებებს იძლევიან შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები: დ. დ-ი, ნ. გ-ე და ლ. გ-ი.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით ბრალდებულთათვის შერაცხული ბრალდება (ზ. გ-ს მიმართ სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილი ბრალდების გარდა) არავითარ ეჭვს არ იწვევს და სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული. სააპელაციო სასამართლოს მიერ მათთვის დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულთა ქმედების სიმძიმესა და მათ პიროვნებას.

რაც შეეხება ზ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებას, პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რადგან პოლიციის მუშაკების მიმართ მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ძალადობით ჩადენილი წინააღმდეგობის გაწევისას ი. ქ-ს შეეჯახა ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“, რომელსაც მართავდა გ. გ-ია, რადროსაც ზ. გ-ა მძღოლის -გ. გ-ს გვერდით იჯდა და წინააღმდეგობის ამ ფორმით გაწევის სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი ვერ გაუწევდა პოლიციის მუშაკებს წინააღმდეგობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ზ. გ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ზ. გ-ს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად დარჩეს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით განსაზღვრული -25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: ლ. კ-ს, მ. ჭ-ა და დ. ხ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის -მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ზ. გ-ს სასიკეთოდ, კერძოდ:

ზ. გ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით.

ზ. გ-ს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული -2 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად დარჩეს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით განსაზღვრული -25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#382-აპ-09

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის განაჩენით ო. მ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 3 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, აგრეთვე -ჯარიმა 1000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ო. მ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 3 თვის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მასვე სამოქალაქო მოსარჩელის -თ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 1500 ლარის გადახდა. განაჩენით ო. მ-ს მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე -სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და რაც გამოიხატა შემდეგში:

ო. მ-მ 2008 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით 23.00 საათზე, დაბა მდებარე შპს „ნ-ს“ შესასვლელ ჭიშკართან გაჩერებული, მოქალაქე თ. მ-ს კუთვნილი, „კია სპორტიჯის“ მარკის, სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანის საბარგულის საქარე მინა ქვით ჩაამტვრია. ამასთან, ნაკარების სახით დააზიანა უკანა შუშის ზედაპირი და საღებავი -ავტომანქანის უკანა, მარჯვენა კარის სახელურთან, ასევე, გამოგლიჯა უკანა სანომრე ნიშნის სამაგრი, შეაღწია ავტომანქანაში და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 6 ცალ მაგნიტოფონის ჩდ ფირფიტას, „სბერბანკის“, „პროგრედიტ ბანკის“ სახელფასო პლასტიკურ ბარათებს, „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურის ფასდაკლების პლასტიკურ ბარათს, აგრეთვე დაეუფლა თ. მ-ს საქარ-

თველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ მოწმობას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ო. მ-ს ქმედებით დაზარალებულ თ. მ-ს მიადგა 1840 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. მ-მ, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი. აპელანტის განმარტებით, მან გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ჰყავს ავადმყოფი დედა, მეუღლე და მცირეწლოვანი და-ძმები, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან, მისი ოჯახი განიცდის მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეს. ამგვარი პირობების არსებობისას აპელანტს მიაჩნია, რომ მის მიმართ თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 3 თვის ვადით მეტისმეტად მკაცრი სასჯელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ ო. მ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ო. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები და გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ო. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ო. მ-მ ნამდვილად ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა დადასტურებულია საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით: თვით მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სხვა მტკიცებულებებით.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. მ-ს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო: ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გატაცება, აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მოტივსა და სხვისი დოკუმენტების დაუფლების მიზანს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ო. მ-მ, მართალია, გაიტაცა დაზარალებულ თ. მ-ს კუთვნილი ნივთები, მაგრამ საქმის მასალებით არ დასტურდება ის, რომ ო. მ-მეს ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცების განზრახვა და მიზანი, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი მოქმედებდა სიბნელეში და მანქანაში არსებულ ნივთებს, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ტომარაში ყრიდა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ო. მ-ს მიმართ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ო. მ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით შერაცხული ბრალდების ნაწილში, ვინაიდან მას არ ჩაუდენია აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ქმედება. ამასთან, იგი უნდა გათავისუფლდეს აღნიშნული მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელების -6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთისა და 1000 ლარის ოდენობით ჯარიმისაგან.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა ო. მ-ს სამოქალაქო მოპასუხედ ცნობა, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულ ო. მ-ს დაზარალებულ თ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრებინათ 1500 ლარის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება ო. მ-ს სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დაზარალებულ თ. მ-ს მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, მას აქვს უფლება, მსჯავრდებულთან იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ო. მ-ს სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ო. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ო. მ-ს მიმართ შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შესაბამისად, მას მოეხსნას აღნიშნული მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ამასთან, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ ო. მ-ის მიმართ დაზარალებულ თ. მ-ს სასარგებლოდ 1500 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო თ. მ-ს დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასჯელადსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა

განჩინება

#283-აპ-09

14 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის დამცველის, ადვოკატ ო. ს-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ლ-შვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მას სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 2 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და დანაშაულთა ერთობლიობით რ. ლ-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლისა და 2 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოცემული განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 18 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წლით, 1 თვით, 18 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ რ. ლ-შვილს, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14

წლის, 3 თვისა და 18 დღის ვადით, რომლის ათვლაც მას დაეწყო 2008 წლის 20 ოქტომბრიდან.

განაჩენით რ. ლ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. მანვე, იყო რა წინათ მსჯავრდებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ჩაიდინა სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ლ-შვილს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 18 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი -მე-2 ნაწილებითა და იმავე კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით ერთობლივად მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდიდა თბილისის #1 საპყრობილეში, სადაც 2006 წლის 2 დეკემბერს გადაიყვანეს #10 დაწესებულებიდან. 2007 წლის 16 იანვარს, დაახლოებით 11.30 საათზე, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თბილისის #1 საპყრობილის თანამშრომლებმა -უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ზ. ლალაბაშვილმა, სარეჟიმო განყოფილების ინსპექტორმა ვ. ბ-შვილმა და სარეჟიმო განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ზ. კ-ძემ #56 საკანში ჩაატარეს მოულოდნელი შემოწმება-დათვალიერება. შემოწმების დროს აღნიშნულ საკანში განთავსებულმა მსჯავრდებულმა რ. ლ-შვილმა დაარღვია სარეჟიმო მოთხოვნა და არ დაემორჩილა თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას. მან, თანამშრომელთა ზემოაღნიშნული კანონიერი მოთხოვნით განაწყენებულმა, განიზრახა სარეჟიმო განყოფილების უფროს ინსპექტორ ზ. კ-ძეზე თავდასხმა და ხელი გაართქვა მას სახეში, რითაც მარცხენა ზედა ტუჩის არეში მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. ამასთანავე, რ. ლ-შვილი აგინებდა როგორც ზ. კ-ძეს, ასევე იქ მყოფ სხვა თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას. მისი დანაშაულებრივი ქმედებები ფიზიკური ძალის გამოყენებით აღკვეთეს დაწესებულების თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ზ. კ-ძემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებულს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება; საქმეზე როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულყოფილად და არაობიექტურად; არ დაუკითხავთ შემთხვევის თვითმხილველი პატიმრები; სათანადოდ არ იქნა დათვალიერებული შემთხვევის ადგილი; არ იქნა ამოღებული დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ტანსაცმელი, რაზეც ბიოლოგიური და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზების ჩატარების შემთხვევაში უტყუარად დადგინდებოდა, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულზე თავდასხმა არ მოუხდენია; სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ბრალდების მოწმეთა და დაზარალებულის ჩვენებები, რომლებითაც დასტურდება, რომ რ. ლ-შვილს არ ჩაუდენია არც სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და არც ადმინისტრაციაზე თავდასხმა. პირიქით, დაზარალებულმა ზ. კ-ძემ და ციხის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა განახორციელეს მსჯავრდებულზე თავდასხმა, რა დროსაც მიაყენეს მას დაზიანებები.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ო. ს-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე ძირითადი მოტივებით, რაზეც აღნიშნული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ასეთ ვერსიას არ გააჩნია დასაბუთებული საფუძველი საქმის მასალების მიხედვით, ხოლო საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით და ადასტურებენ ზ. ლ-შვილის ბრალულობას,

ვერ გააბათილა დაცვის მხარემ ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც სააპელაციო სასამართლოში. მართალია, დაცვის მხარე აპელირებს, ერთი მხრივ, დაზარალებულის ჩვენებებს შორის, ასევე ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებაზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, დაცვის მოწმეთა ჩვენებების ურთიერთათვისებადობაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეების ჩვენებების ძირითად ნაწილებს შორის, რომლებიც უშუალოდ ეხება დაზარალებულ ზ. კ-ძესა და მსჯავრდებულ რ. ლ-შვილს შორის მომხდარ ინციდენტს, ასევე აღნიშნული ინციდენტის დროს რ. ლ-შვილის მიერ სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და შემდეგ ამ უკანასკნელის ხსენებული დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებზე თავდასხმაში გადაზრდას, განსხვავებები არსებითად არ არის და ისინი ერთგვაროვანია. მითითებულ ჩვენებათა სისწორე კი დასტურდება ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულ ზ. კ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ცალკეული დეტალების თვალსაზრისით, განსხვავებები და წინააღმდეგობები არსებობს დაცვის მოწმეთა ჩვენებებს შორისაც, რომლებიც მოკლებულია დამაჯერებლობასა და უტყუარობას, რადგან, მათი მიხედვით, მსჯავრდებულ რ. ლ-შვილს არც წინააღმდეგობა გაუწევია ვინმესთვის და არც არავის თავს არ დასხმია, მაშინ, როდესაც სახეზეა ზ. კ-ძის დაზიანების ფაქტი, რომელიც დროის მიხედვით ემთხვევა მომხდარ შემთხვევას, ხოლო დაცვის მხარეს არა აქვს ახსნილი, საიდან შეეძლო დაზარალებულს მიეღო ეს დაზიანება. გარდა ამისა, თუკი დაცვის მხარე თვლის, რომ მომხდარი ინციდენტისას მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიმართ სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა, გარდა იმ ზომებისა, რაც აუცილებელი იყო დანაშაულის აღსაკვეთად, ჩაიდინეს რაიმე უკანონო ქმედებები, ამ საკითხის თაობაზე რეაგირებისათვის უნდა მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. აღნიშნული გარემოებების გამო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება,

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისას დაუშვა გარკვეული უზუსტობა, როდესაც მის მიმართ ცალკე დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რადგან მას საბრალდებო დასკვნით აღნიშნული ქმედების ჩადენის თაობაზე ბრალდება ზედმეტად ჰქონდა წარდგენილი. საქმე იმაშია, რომ, მართალია, ზემოაღნიშნული ინციდენტი მხარეებს შორის მართლაც დაიწყო მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიერ წინააღმდეგობის გაწევით, მაგრამ ინციდენტი ამ მომენტში არ დასრულებულა, არამედ, ყოველგვარი წყვეტის გარეშე, იგი განვითარდა უფრო მწვავედ და გადაიზარდა მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის მიერ სასჯელადსრულების ადმინისტრაციის წარმომადგენელ, დაზარალებულ ზ. კ-ძეზე თავდასხმაში, რომელიც დასრულდა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი, უფრო მსუბუქი დანაშაული, გადაიზარდა მეორე, უფრო მძიმე დანაშაულში, რის გამოც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ ნორმით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უფრო მძიმე დანაშაულისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტიდან და 564-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენში მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის სასიკეთოდ უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: რ. ლ-შვილის მსჯავრდებიდან უნდა ამოირიცხოს მითითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ ნაწილით სასჯელის დანიშვნის თაობაზე, ხოლო მისი ქმედების კვალიფიკაცია, განსაზღვრული საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ასევე ამ ნორმის სანქციის საფუძველზე განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა -თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 2 თვის ვადით, რომელიც შეკრებილია წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან ერთად, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ლ-შვილის დამცველის, ადვოკატ ო. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით რ. ლ-შვილის მსჯავრდებისა და ამ ნაწილში მის მიმართ სასჯელის ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თაობაზე. შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით მისთვის განსაზღვრულ საბოლოო სასჯელის ზომას -14 წლით, 3 თვითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთას -გამოაკლდეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ რ. ლ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლის, 3 თვისა და 18 დღის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემა

განჩინება

#332-აპ-09

5 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. რ-ნის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის განაჩენით მ. რ-ნი, -ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378¹ მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განაჩენით მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული, მოუხდელი სასჯელი -4 წელი და მ. რ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 3 აგვისტოდან.

განაჩენით მ. რ-ს მსჯავრი დაედო სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განაჩენით მ. რ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად დაენიშნა პირობითი მსჯავრი -4 წლის გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

მ. რ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისივე სამუხტით და განიზრახა მისი გადაცემა სასჯე-

ლაღსრულების დეპარტამენტის ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულე-
ბაში მოთავსებული მსჯავრდებულისათვის, დაწესებულების საკონტროლო-გამშვები პუნქტის მიმ-
დებარე ტერიტორიიდან შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების გზით.

2008 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 12.30 საათზე, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზ-
ნით, მ. რ-მა შეძენილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი და ტელეფონის სამუხტი გადა-
ადგო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის
დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე. ტელეფონი და მისი სამუხტი აღმოაჩინა იმავე დაწესებულე-
ბის უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა კ. ა-მა, ინახებოდა მასთან, რაც გადა-
უდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღებულ იქნა და ადგილზევე დაილუქა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. რ-მა. სააპელაციო საჩივრით აპე-
ლანტმა ითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის განაჩენის გაუქმება
და მის ნაცვლად ახალი გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თე-
ბერვლის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის განაჩენი დარჩა
უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თე-
ბერვლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. რ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-
ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ განაჩენი დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსე-
ბითი დარღვევით, გამოყენებულია სისხლის სამართლის კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენები-
ნათ; საქმე არ განხილულა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით; განაჩენი
ემყარება კანონის დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს და, ამდენად, ით-
ხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენის გაუქმება და სა-
ქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის
საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა
და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრე-
ბულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: კ. ა-
ის, ზ. ბ-ის, ა. კ-ძის, გ. მ-ძის, მ. კ-ის, ე. ბ-ს ჩვენებებით, ამოღების ოქმითა და საქმის
სხვა მასალებით მ. რ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა
დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

მოწმეების: #4 განყოფილების რიგითი ჯარისკაცის -გ. მ-ძის, ყარაულის უფროსის თანაშემწის
-მ. კ-ისა და #7 სასჯელაღსრულების დაწესებულების გარე და სპეციალური დაცვის უფროსის
მოადგილის -ე. ბ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2008 წლის 3 აგვისტოს უცნობმა მოქალაქემ
#7 სასჯელაღსრულების დაწესებულების საკონტროლო-გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიი-
დან შიდა ტერიტორიაზე გადაადგო უცხო საგანი, რომელიც აღმოჩნდა „ნოკიას“ ფირმის მობილუ-
რი ტელეფონი სამუხტთან ერთად. აღნიშნულის შემდეგ მ. რ-ნი დააკავეს.

მ. რ-ის მიერ მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე მობილური ტელეფონის გადაადგი-
ბის ფაქტი ასევე დადგენილია #7 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექ-
ტორის -კ. ა-ის, ოპერატიული მორიგე ინსპექტორის მ/შემსრულებლის -ზ. ბ-ისა და რეჟიმის
განყოფილების კონტროლიორის -ა. კ-ძის ჩვენებებით, რომელთა მიხედვით, 3 აგვისტოს, ტერი-
ტორიის შემოწმება-დათვალიერების დროს, მათ აღმოაჩინეს პარკში შეხვეული „დასკოჩილი“ საგა-
ნი, რომელიც დაილუქა მათივე თანდასწრებით, ინახებოდა კ. ა-თან და მისგანვე იქნა ამოღებუ-
ლი. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება კი 2008 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით კანონიერად
იქნა ცნობილი.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. რ-ნის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-ძის
საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და საქართველოს სსსკ-ის
561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყ-
ვეტის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცე-
ბულებები, რომლებიც დაადასტურებდა მ. რ-ის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მო-
თავსებული პირისათვის აკრძალული საგნის -ტელეფონის გადაცემას, რაც აუცილებელია პირის
საქართველოს სსსკ-ის 378¹ მუხლით მსჯავრდებისათვის, ვინაიდან საქმის მასალებიდან ნათლად

ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა აკრძალული ნივთის გადაცემის მცდელობას, ხოლო აღნიშნული მუხლის დისპოზიცია კი ითვალისწინებს ნივთის გადაცემის ფაქტის დადასტურებას.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლით: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა, უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

პალატის აზრით, მ. რ-ის სისხლის სამართლის საქმე განხილულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით: არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. როგორც მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირეს მ. რ-იანის ქმედება საქართველოს სსკ-ის 378¹ მუხლის I ნაწილით, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან და არა -დამთავრებულ დანაშაულთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდა ცვლილება და მ. რ-ის ქმედება დაკვალიფიცირდეს მე-19-378¹ მუხლის I ნაწილით.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. რ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მ. რ-ის ქმედება დაკვალიფიცირდეს მე-19-378¹ მუხლის I ნაწილით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემა

განჩინება

#428-აპ-09

26 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენით ი. ხ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირს გადასცა ნარკოტიკული საშუალება; მანვე, შეფარდებული ჰქონდა რა ადმინისტრაციული სახდელი ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარებისათვის, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ი. ხ-მ განიზრახა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის #7-ე დაწესებულებაში მოთავსებული დაუდგენელი პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემა, რისთვისაც 2008 წლის 8 სექტემბერს შეხვდა მ. ნ-ს და, არ გაანდო რა თავისი განზრახვა, სთხოვა, გაჰყოლოდა აღნიშნულ დაწესებულებაში. დაახლოებით 21 საათზე ისინი მივიდნენ დაწესებულებასთან, სადაც საგუშაგოების ღობის გარედან დაწესებულების შიდა ზონაში ი. ხ-მ გადააგდო პოლიეთილენის პარკში შეხვეული 2,4 გრამი "მარიხუანა". გარდა ამისა, 2008 წლის 10 ივნისს, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარებისათვის ი. ხ-ს დაჯარიმდა ადმინისტრაციული წესით. იმავე წლის 9 სექტემბერს ი. ხ-ს გადაიყვანეს საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, აღნიშნული ქმედებებისათვის ი. ხ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 დეკემბრიდან. მასვე 3 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა თ. ა-მ და მოითხოვა გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულის ადვოკატი თ. ა-ე თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ შსს-ს მცხეთის რაიონული განყოფილების გამომძიებლის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებელია, რადგან დანაშაული, რაც ბრალად შეერაცხა ი. ხ-ს, გამოსაძიებლად ექვემდებარებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამომძიებო სამსახურს; ის გარემოება, რომ ი. ხ-ს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ ჩაუდენია, დადგინდა არა საქმის წინასწარი გამოძიების დასასრულს, არამედ საქმის აღძვრის დღესვე; საქმე გამოსაძიებლად ექვემდებარებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამომძიებო სამსახურს, რადგან დანაშაული (თუკი ის მოხდა), მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე; საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ დაკითხული არაერთი პირის განმარტებების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათზე კასატორის მითითება უსაფუძვლოა, რადგან ეს ჩვენებები საქმის წარმოების ყველა ეტაპზე თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ობიექტურად ასახავს მომხდარს და, სხვა მასალებთან ერთობლიობაში, უდავოდ ადასტურებენ მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას. მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენები, მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მათ შორის -უწყებრივი საგამომძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ საქმეზე რაიმე საგამომძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. ამასთან, ი. ხ-ს ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემული იყო სსკ-ის 273-ე მუხლით, ხოლო 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება და არა სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ი. ხ-ს სსკ-ის 260-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაშიც უსაფუძვლოა კასატორის მითითება ამ დანაშაულის სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა დაუშვებლად მიჩნევის საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა იმგვარი არსებითი დარღვევა, რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას ან გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე. ამასთან, არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობა და არა გადაცემა, რამდენადაც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ხ-ს ქმედება სსკ-ის 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე, ხოლო სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განაჩენი შეიცვალოს: ი. ხ-ს ქმედება სსკ-ის 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის მე-19, 378² მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და ამ საგნით სარგებლობა

განჩინება

#485-აპ-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენით გ. მ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 378² მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და სარგებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 მარტის განაჩენით გ. მ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი 2008 წლის 7 თებერვლიდან მოათავსეს სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის პერიოდში გ. მ-მა განიზრახა აკრძალული საგნის შენახვა და სარგებლობა, რისთვისაც დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და შპს „მაგთიკომის“ ორი სიმ-ბარათი, რომლებსაც ინახავდა და სარგებლობდა.

2008 წლის 20 ოქტომბერს, დაახლოებით 13.³⁰ საათზე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებმა ჩაატარეს ქირურგიული განყოფილების მოულოდნელი შემოწმება-დათვალიერება, რომლის შედეგად ერთ-ერთ პალატაში, სადაც მოთავსებული იყო გ. მ-ლი, საწოლის გვერდით მდებარე ტუმბოში, პირად ნივთებს შორის აღმოაჩინეს „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და „მაგთისა“ და „ბალის“ ლოგოს მქონე სიმ-ბარათები, რომლებიც ჩამორთმეულ იქნა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ს განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -10 წელი, 6 თვე, 27 დღე და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლისა და 27 დღის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 19 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. მ-მა და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული გ. მ-ლი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან საქმის განხილვა ორივე ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარეობდა სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების უხეში დარღვევებით; არ შემოწმებულა საჩივარში მოყვანილი გარემოებები მსჯავრდებულის უდანაშაულობის და კანონდარღვევების შესახებ; არ გარკვეულა, თუ როგორ მოხვდა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე მობილური ტელეფონი, რომელიც ამოიღეს საერთო სარგებლობის ტუმბოდან; არ დადგენილა, თუ ვის სახელზე იყო გაფორმებული სიმ-ბარათები, არ დაკითხულან მათი მფლობელები და ის პირები, ვინც პალატაში გ. მ-თან ერთად იყო მოთავსებული. რაც შეეხება ბრალის აღიარებას, სსსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, ის არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის, თუ არ დასტურდება სხვა, ერთმანეთთან შეთანხმებული უტყუარი მტკიცებულებებით. უხეშად დაიდგა საქართველოს კონსტიტუციის მე-40, საქართველოს სსსკ-ის მე-10, 132-ე, 503-ე და ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული გ. მ-ლი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში სრულყოფილად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმესთან კავშირი არ აქვს იმის გარკვევას, თუ როგორ მოხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგანი ან ვის სახელზე იყო გაფორმებული სიმბარათები. შესაბამისი ოქმით ირკვევა, რომ შემოწმება ჩატარდა გ. მ-ის პალატაში და აკრძალული საგნები აღმოჩნდა მის პირად ნივთებში.

აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გ. მ-მა აღიარა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რის გამოც სასამართლო გამოიძეა შეიკვეცა. მსჯავრდებული არსად მიუთითებდა, რომ მის პალატაში მოთავსებული იყო სხვა პირიც და, შესაბამისად, არც მისი დაკითხვა მოუთხოვია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული გ. მ-ის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და სარგებლობა უტყუარადაა დადასტურებული ამოღების ოქმით, ასევე -სატელეფონო საუბრების დეტალურ-წუთობრივი ნუსხით, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი არ ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულის აღიარებით ჩვენებას, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს. ამასთან, მტკიცებულებები მოპოვებული და გამოკვლეულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

წინა განაჩენით გ. მ-ს მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 15 სექტემბრიდან. შესაბამისად, ბოლო განაჩენის გამოტანისას -2009 წლის 19 თებერვლისათვის წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდა 3 წელი, 5 თვე, 4 დღე და მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 10 წლით, 6 თვით და 26 დღით და არა 10 წლით, 6 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შესახებაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სწორად მიუთითა სახელმწიფო ბრალმძებელმა.

გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განაჩენი შეიცვალოს: გ. მ-ის სსსკ-ის 378² მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელს - 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -10 წელი, 6 თვე, 26 დღე და გ. მ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 12 წლით და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და ამ საგნით სარგებლობა

განჩინება

#477-აპ-09

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენით ი. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 378² მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ იყო რა მოთავსებული სასჯელადსრულების დაწესებულებაში, სარგებლობდა აკრძალული საგნით; იგი ასევე ნასამართლევი და ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული იყო რა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განაჩენით ი. ბ-ძეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3 000 ლარი. სასჯელის მოსახდელად იგი მოათავსეს ბათუმის #3-ე საპყრობილეში.

2007 წლის 3 ნოემბერს აღნიშნული საპყრობილის სარეჟიმო განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, განახორციელეს ამავე საპყრობილის 36-ე საკნისა და მასში მყოფი პატიმრების შემოწმება, რის შედეგად საკანში აღმოაჩინეს „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი სამ-ბარათით და ელექტრო სამუხტი. მითითებული ნივთების შენახვა და სარგებლობა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ დებულების“ მე-2 დანართის შენიშვნის თანახმად, აკრძალულია სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართათვის, რის შესახებაც პირადად იყო გაფრთხილებული ი. ბ-ძე შესაბამისი ოქმით, რაც დადასტურებულია მისივე ხელმოწერით. მიუხედავად გაფრთხილებისა, მან ზემოაღნიშნული მობილური ტელეფონით განახორციელა სატელეფონო საუბარი თავისი დის ტელეფონზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 თებერვლის დადგენილებით, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ი. ბ-ძე დაჯარიმდა 500 ლარით. იგი ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, ი. ბ-ძემ, სასჯელის მოსახდელად იმყოფებოდა რა საპყრობილეში, უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „მორფინი“, რომლის მიღება მას დაუდგინდა 2007 წლის 4 ნოემბერს ექსპერტიზის სამსახურის მიერ ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად გაცემული დასკვნის საფუძველზე.

ი. ბ-ძეს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის გამოყენებით) განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი, 11 თვე, 27 დღე და საბოლოოდ მისეჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, 11 თვითა და 27 დღით, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 19 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ი. ბ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ა-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან წინასწარი გამოძიება ჩატარდა დამცველისა და თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე, როცა კანონით მათი მონაწილეობა სავალდებულო იყო, რადგან ი. ბ-მ არ იცის სამართალწარმოების ენა; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; საქმეში დევს პირველი ინსტანციის მიერ მთლიანად გაყალბებული, ხოლო მეორე ინსტანციის მიერ ნაწილობრივ შეცვლილი სხდომის ოქმები; წინასწარი გამოძიება ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას; საქმე არ არის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილული; დაირღვა განსასჯელის უფლება, ისარგებლოს იმ ენით, რომელიც მან იცის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ი. ბ-ის მიმართ საქმის შეწყვეტას, ასევე -წინასწარ გამოძიებაში ჩატარებული ამოღების, საკნის დათვალიერების ოქმებისა და სასამართლოზე გამოუქვეყნებელი ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ, კერძოდ:

ჯერ კიდევ მოწმის სახით დაკითხვისას ი. ბ-მე უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნისა და დამცველის მომსახურებით. თარჯიმანი და ადვოკატი ესწრებოდა ი. ბ-ის მონაწილეობით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებას. მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა გასაჩივრებული განაჩენი, მოპოვებულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და ისინი უტყუარად ადასტურებენ მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს ი. ბ-მე არ იცოდა პატიმართა ქცევის წესების შესახებ, რადგან რუსულ ენაზე შესაბამისი ბრძანება მისთვის არ წარუდგენიათ. პალატა აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით მასალები სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია. გარდა იმისა, რომ საქმეშია ი. ბ-ისათვის თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობის ოქმი, რომელსაც პატიმარიც ხელს აწერს, სასამართლოში დაიკითხა არაერთი პირი. მათ შორის -საპრობილის თანამშრომლები. მათ განმარტეს, რომ ი. ბ-მესთან საუბრობდნენ ქართულ ენაზე. მოწმე მ. ქ-ის ჩვენებით, ი. ბ-მე ქართულ ენაზე გამოცემულ ჟურნალსაც კითხულობდა. გარდა ამისა, "პატიმართა ქცევის წესები" გამოკრული იყო ყველა საკანში. აღნიშნულს თავად ი. ბ-მეც ადასტურებს სასამართლოში. მან აღნიშნა, რომ "შესაძლოა გააფრთხილეს" პატიმართა ქცევის თაობაზე, საკანში "გაკრული იყო პლაკატი, არ შეიძლებოდა სანთებელა და ტელეფონი". მსჯავრდებულის განმარტებით, იგი იყო ავად და შესაძლოა, ისარგებლა მობილური ტელეფონით.

მსჯავრდებულის ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელმა "იძულებით გამოკითხა" პატიმრები და შესაბამის ოქმებზე ხელი მოაწერინა, თუმცა ამის თაობაზე ან რაიმე სხვა სახის ზემოქმედებაზე თავად ი. ბ-მეც არ მიუთითებს.

დადგენილია, რომ 2007 წლის 15 ივნისიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ი. ბ-მეს იმავე წლის 4 ნოემბერს დაუდგინდა "მორფინის" მოხმარება. საპრობილის სამედიცინო ნაწილის უფროსმა ზ. ორაგველიძემ სასამართლოს განუმარტა, რომ "მორფინის" შემცველი მედიკამენტი პატიმრებისთვის არ დაუნიშნავს.

პატიმართა საკნის ჩხრეკისას ამოღებულ მობილურ ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების ნუსხით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ნომერი ეკუთვნოდა ი. ბ-ის დას -ირმა ბ-მეს. ამ უკანასკნელმა სასამართლოში განაცხადა, რომ არ ახსოვს, ტელეფონით ესაუბრა თუ არა საპრობილეში მოთავსებულ ძმას, თუმცა სხვა პატიმარს ესაუბრა მედიკამენტებთან დაკავშირებით.

ამასთან, წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ვადა ი. ბ-მეს აეთვლა 2007 წლის 15 ივნისიდან. შესაბამისად, ბოლო განაჩენის გამოტანისას -2008 წლის 19 დეკემბრისათვის მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდა 1 წელი, 6 თვე, 4 დღე და მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 7 წლით, 11 თვით და 26 დღით და არა 7 წლით, 11 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, როგორც ეს გასაჩივრებულ განაჩენშია მითითებული.

გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

პალატა მხედველობაში იღებს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოღებული საგნები ნივთმტკიცებად ერთვის სხვა სისხლის სამართლის საქმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ბ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ა-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი შეიცვალოს: ი. ბ-მისათვის სსკ-ის 378² მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს -2 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი, 11 თვე, 26 დღე და ი. ბ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით, 11 თვით და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. შეწყალება

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#971-აპ

5 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -მ. ა-ლისა და რ. ნ-ოვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განაჩენით რ. ნ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 ივლისიდან.

მ. ა-ლლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების -მ. ა-ლისა და რ. ნ-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

რ. ნ-ოვმა და მ. ა-ლლიმ განიზრახეს, უკანონოდ შეეძინათ და შეენახათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი". თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების მიზნით, მათ ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდნენ.

2007 წლის 12 ივლისს, 21 საათზე, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ქ. მ-ში, დააკავეს რ. ნ-ოვი და მ. ა-ლლი, რომელთაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დადგენილების საფუძველზე ადგილზევე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც რ. ნ-ოვის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მის მიერ ძიებით დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი და შენახული, ოთხ ცალად დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით -2,507 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

ნი", ხოლო მ. ა-ლის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მის მიერ ძიებით დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი და შენახული, ხუთ ცალად დაფასოებული, დიდი ოდენობით - 0,927 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. ა-ლი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; პირველადაა სამართალში; ჰყავს მეუღლე, მცირეწლოვანი შვილები და პენსიონერი მშობლები; ხასიათდება დადებითად.

მსჯავრდებული რ. ნ-ოვი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლევულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლევული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების -გ. კ-შვილის, ა. ზ-ძის ჩვენებებით, მსჯავრდებულ მ. ა-ლის ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება რ. ნ-ოვის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რ. ნ-ოვს დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ა-ლის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის განკარგულებით მსჯავრდებული მ. ა-ლი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენი მ. ა-ლის მიმართ უნდა გაუქმდეს და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე მ. ა-ლის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#1043-აპ

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. გ-უას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენზე, რომლითაც ზ. ქ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით ზ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო უფლებები.

განაჩენით ზ. ქ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. ქ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2008 წლის 19 იანვარს ზ. ქ-შვილი იმყოფებოდა ქ. თბილისში, რა დროსაც ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლციის მე-3 განყოფილებაში შესული შეტყობინების საფუძველზე იგი დააკავეს ექვმიტანილის სახით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვაში მის მიმართ არსებული ეჭვის გამო. დაკავების დროს ზ. ქ-შვილი შეეცადა მიმალვას და გადააგდო ხელთ არსებული ქაღალდის ხვეული, მასში მოთავსებული მოყავისფრო, ფხვნილისმაგვარი ნივთიერებითა და ე.წ. ინსულინის შპრიცით.

საქართველოს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #22/სქ დასკვნის თანახმად, ზ. ქ-შვილის დაკავების დროს ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით -0, 0610 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. აპელანტმა აღნიშნა, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევ არ არის, რომ მან აღიარა დანაშაული, რითაც ხელი შეუწყო გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში. ადვოკატმა ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ქ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-უამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა ითხოვეს ზედმეტად მკაცრი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. ქ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული ზ. ქ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ზ. ქ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე ზ. ქ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#776-აპ

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ც-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის -ე. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენზე, რომლითაც ბ. ც-ლი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ბ. ც-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 19 მარტიდან.

ბ. ც-ლს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 4 მარტს ბ. ც-ლი მეგობარ ლ. ჩ-შვილთან ერთად დაუკავშირდა ამ უკანასკნელის ნაცნობს, გ. ფ-ძეს და შეთანხმდნენ, რომ სადამოს საათებში, დროის გატარების მიზნით, შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეთანხმებისამებრ, 2007 წლის 5 მარტს, დაახლოებით 2 საათზე, ბ. ც-ლი და ლ. ჩ-შვილი ა/მანქანით რომელსაც მართავდა ლ. ჩ-შვილი, შეხვდნენ გ. ფ-ძეს ჩაისვეს იგი ავტომანქანაში და გაემართნენ მეტროს სადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიისკენ. სუპერმარკეტ „ზემელში“ შეიძინეს ლუდი და მივიდნენ საცურაო აუზის – „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე საათი საუბრობდნენ ავტომანქანაში და სვამდნენ ლუდს. დაახლოებით 6 საათისათვის მათ გადაწყვიტეს სახლში წასვლა. ლ. ჩ-შვილმა და ბ. ც-ლმა გ. ფ-ძე მიიყვანეს ვაჟა-ფშაველაზე მდებარე კორპუსთან, სადაც იგი ბ. ც-ლთან ერთად გადავიდა

ავტომანქანიდან. აღნიშნული კორპუსის #2 სადარბაზოში ბ. ც-ლსა და გ. ფ-მეს მოუვიდათ შელაპარაკება, რა დროსაც ბ. ც-ლმა განიზრახა გ. ფ-მის განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან ჯიბიდან ამოიღო თანაქონი დანა და რამდენჯერმე დაარტყა გ. ფ-მეს მუცლის, გულმკერდისა და ზურგის არეში, რის შემდეგაც დანა იქვე გადააგდო, ჩაუჯდა ავტომანქანაში ლ. ჩ-შვილს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. გ. ფ-მე გადაიყვანეს თსუ-ს ცენტრალურ კლინიკაში, სადაც მას აღმოუჩინეს სამედიცინო დაზიანება.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ა. ჟ-ტმა. აპელანტები ითხოვდნენ ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, ვინაიდან მსჯავრდებულს დაზარალებულის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ბ. ც-ლის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. ჩ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ბ. ც-ლის წარსული, რომელიც არაფრით არ არის შებღალული, არ ჩაატარა დახურული სასამართლო სხდომა, რის გამოც ვერ დადგინდა სიმართლე და მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ბ. ც-ლს დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ ბ. ც-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის -ე. ჩ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო განაჩენის გაუქმებისა და ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის გაგზავნის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ბ. ც-ლის მიერ დანაშაულის ნაწილობრივ აღიარებით, როდესაც აღნიშნავს, რომ, მართალია, იგი გააღიზიანა გ. ფ-მის უცნაურმა მოქმედებამ, მაგრამ მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, დაზარალებულ გ. ფ-მის ჩვენებით, მოწმეების -მ. მ-ვას, ლ. ჩ-შვილის ჩვენებებით, 2007 წლის 22 მარტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #1851/31 დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული ბ. ც-ლი შეწყალებულ იქნა და საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით შეფარდებული სასჯელიდან (7 წლით თავისუფლების აღკვეთიდან) მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -5 წელი, 3 თვე, 2 დღე -გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით, 7 თვითა და 16 დღით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ც-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის -ე. ჩ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. ც-ლს საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით შეფარდებული სასჯელიდან (7 წლით თავისუფლების აღკვეთიდან) მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -5 წელი, 3 თვე, 2 დღე თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით, 7 თვითა და 16 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ც-ლს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს 2008 წლის 17 დეკემბრიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#1147-აპ

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განაჩენზე, რომლითაც ა. გ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მარტის განაჩენით ა. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -6 თვე და საბოლოოდ ა. გ-ძეს სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ა. გ-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები. იგი სასაჯელს იხდის 2007 წლის 6 აგვისტოდან.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით ა. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, შეეცვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. გ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. 2007 წლის 6 აგვისტოს ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თბი-

ლისში, წინამძღვრიშვილს ქუჩის #119-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკვეს ა. გ-მე, რომელსაც ადგილზე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ა. გ-მის მარცხენა ხელიდან ამოღებულ იქნა თეთრ ქაღალდში გახვეული, მოყავისფრო, ფხვნილისებრი ნივთიერება. 2007 წლის 6 აგვისტოს ქიმიური ექსპერტიზის #1046/სქ დასკვნის თანახმად, ა. გ-მის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული, თეთრ ქაღალდში გახვეული, მოყავისფრო, ფხვნილისებრი ნივთიერება წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რომელშიც „ჰე-როინის“ წონა შეადგენს 0, 0278 გრამს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. გ-მემ.

აპელანტმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, რადგან უსაფუძვლოდ მიაჩნია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის წარდგენა, ვინაიდან 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელი -6 თვე სასამართლომ დაუმატა მოცემული განაჩენით დანიშნულ სასჯელს. აპელანტი ასევე ითხოვს შეფარდებული სასჯელის 1/3-ის პირობითად ჩათვლას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ამორიცხვა და დანიშნული სასჯელის 1/3-ის პირობითად ჩათვლა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ა. გ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული ა. გ-მე შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ა. გ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე ა. გ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#613-აპ

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-უას ინტერესების დამცველი ადვოკატების -დ. კ-შვილისა და გ. ა-ლის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც ზ. გ-უა ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით ზ. გ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 28 სექტემბრიდან.

ზ. გ-უას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. გ-უამ 2005 წელს, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობის -9, 693 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და დიდი ოდენობის -0, 065 გრამი „მეთადონი“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაისში მდებარე საცხოვრებელ სახლში. მითითებული ნარკოტიკი ამოიღეს 2005 წლის 28 სექტემბერს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელ შემთხვევაში ჩატარებული საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას.

აპელანტმა -მსჯავრდებულმა ზ. გ-უამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ა-იანმა სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებული, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. გ-უას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -დ. კ-შვილმა და გ. ა-ლმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა ითხოვეს განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. გ-უას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული ზ. გ-უა შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ზ. გ-უას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე ზ. გ-უას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქრთამის მიცემა

განჩინება

#1508-აპ

13 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენზე და მსჯავრდებულ რ. გ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ქ-ვას კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით:

რ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით –ჯარიმა 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა –2000 ლარი. რ. გ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 16 ოქტომბრიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რ. მ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 ოქტომბრიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების –რ. გ-იასა და რ. მ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

პოლიციის უფროსი ლეიტენანტი რ. გ-ია 2004 წლის 19 მაისიდან 2007 წლის 26 ივლისამდე მუშაობდა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების გამომძიებლის თანამდებობაზე და წარმოადგენდა მოხელეს, რომლის სტატუსი და უფლებამოსილებანი მკაცრად იყო რეგლამენტებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე-59-ე მუხლებით და მათი დაცვა იყო მისი უშუალო მოვალეობა.

2007 წლის 21 ივნისს ქ. ზუგდიდში მცხოვრები ბ. ბ-ია, ს. გ-იასთან ერთად, ამ უკანასკნელის კუთვნილი ზილ-130 მარკის სატვირთო ავტომანქანით, ჩავიდა ზუგდიდის რაიონში სადაც დანაშაულებრივად დაკავშირებულ კ. მ-იასთან, ს. წ-ვასთან, ვ. ა-იასთან, რ. ნ-იასთან, ტ. ქ-ვასთან, გ. გ-იასა და სხვა პირებთან ერთად, შემდგომში ჯართის სახით რეალიზაციისა და გამორჩენის მიღების მიზნით, ფარულად დაეუფლა ზუგდიდის რაიონში მდებარე დ. პ-რისა და ზ. ქ-უას კუთვნილ ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკაში არსებულ ლითონის სხვადასხვა დეტალსა და ნივთებს. მათ ნაქურდალი ნივთების ნაწილი ავტომანქანის მარაზე დატვირთეს ჩაის ფაბრიკის ეზოში, ხოლო ნაწილი, მათ შორის ჩაის ფაბრიკის კუთვნილი ორი რკინის სეიფი -კ. მ-იას საცხოვრებელი სახლის ეზოში. ამის შემდეგ ს. გ-ია და ბ. ბ-ია, ჯართის მიმღებ პუნქტში ჩამოტვირთვის მიზნით, ავტომანქანით გაემართნენ ქ. ზუგდიდის მიმართულებით. იმავე დღეს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ ზედა ეწერის ტერიტორიაზე გააჩერეს ხსენებული ავტომანქანა და ბ. ბ-ია ამხილეს დანაშაულში. 2007 წლის 22 ივლისს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებელმა გ. გ-იამ დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #44070639 საქმეზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში მდებარე ჩაის ფაბრიკიდან ლითონის ნივთების ქურდობის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით. 2007 წლის 23 ივნისს აღნიშნული საქმე შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაეწერა ზუგდიდის რაიონული სამმართველოს გამომძიებელ რ. გ-იას.

გამომძიების მიმდინარეობის პროცესში დადგინდა დანაშაულში მხილებული ბ. ბ-იას დანაშაულებრივი კავშირი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში მცხოვრებ კ. მ-იასთან და შეკრებილ იქნა საკმაო მამხილებელი მტკიცებულებები კ. მ-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. აღნიშნული ფაქტი, სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ცნობილი გახდა კ. მ-იას ბიძაშვილ რ. მ-იასათვის, რომელიც ასევე მუშაობდა ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლად. იგი კ. მ-იას მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქმის მწარმოებელ გამომძიებელ რ. გ-იას და შესთავაზა, საქმის მასალებში გაებათილებინა კ. მ-იას მამხილებელი ჩვენებები და მისთვის შეექმნა ისეთი ალიბი, რომელიც გამორიცხავდა კ. მ-იას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესაძლებლობას, ამასთან აღუთქვა, რომ ამ პირობის მიღების შემთხვევაში მას ქრთამის სახით გადასცემდა ცეცხლსასროლ იარაღს. რ. გ-ია დაეთანხმა რ. მ-იას შეთავაზებულ წინადადებას და მიუხედავად იმისა, რომ ევალეობდა ჩაეტარებინა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას განახორციელა ქრთამის მიმცემის სასარგებლო ქმედება, კერძოდ: თანამშრომლების მიერ გადაცემული კ. მ-იას მამხილებელი მასალები გაანადგურა და განზრახ არ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს, რათა მიეჩქმალა და არ ჩაეტარებინა საგამომძიებო მოქმედებები. უფრო მეტიც - გამომძიება წარმართა ცალმხრივად, მიკერძოებით და არაობიექტურად, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ნაცვლად, კ. მ-იას შეუქმნა ხელოვნური ალიბი, მიზანმიმართულად შეკრიბა მხოლოდ მისი გამამართლებელი მტკიცებულებები და შექმნა ყველა წინა პირობა, რომ მის მიმართ ვერ განხორციელებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რის შედეგად ბ. ბ-იას მიმართ საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში, ხოლო სხვა თანამონაწილეთა მიმართ საქმე დარჩა გაუხსნელი. რ. გ-იას ქრთამის აღებაში მხილების შემდეგ ხსენებულ საქმეზე გაგრძელდა წინასწარი გამოძიება. კ. მ-ია სხვა თანამონაწილეებთან ერთად მხილებულ იქნა დანაშაულის ჩადენაში, მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მის მიმართ საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

კ. მ-იას სასარგებლოდ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის რ. გ-იამ რ. მ-იასაგან 2007 წლის ივლისში ქრთამის სახით აიღო 2000 ლარად ღირებული "ზიგ-ზაუერის" მარკის ცეცხლსასროლი იარაღი -პისტოლეტი. ქრთამის აღებაში მხილების შიშით რ. გ-იამ რ. მ-იასაგან ქრთამის სახით აღებული პისტოლეტი გააფორმა თავისი ცოლისძმის, ქ. ზუგდიდში, მცხოვრებ თ. მ-იას სახელზე, რაც გატარებული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა ამ უკანასკნელის საცხოვრებელი სახლიდან.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი, ორი ცალი 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის და სხვა სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებისათვის, ერთი ცალი 7,8X56,5 მმ კალიბრის "ინგლისური" #7 მოდელის ვაზნა, განკუთვნილი "Lეე" "ჭინჭკესტერ" და სხვა შაშხანებისათვის, ერთი ცალი 12,7X108 მმ ვაზნა, განკუთვნილი 9 მმ კალიბრის "დშკ-ს" კონსტრუქციის ტყვიამფრქვევებისათვის. მან მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი საბრძოლო მასალიდან ორი ცალი 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნა და ერთი ცალი 7,8X56,5 მმ კალიბრის "ინგლისური" #7 მოდელის ვაზნა მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ქალაქ ზუგდიდში, მდებარე

რე თავის საცხოვრებელ სახლში, ხოლო ერთი ცალი 12,7X108 მმ კალიბრიანი ვაზნა -შს ზუგ-დიდის რაიონულ სამმართველოში, თავის სამუშაო ოთახში, სამსახურებრივ სეიფში.

2007 წლის 16 ოქტომბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა რ. გ-იას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ორი ცალი 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნა და ერთი ცალი 7,8X56,5 მმ კალიბრის "ინგლისური" #7 მოდელის ვაზნა, ხოლო 2007 წლის 17 ოქტომბერს ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა შსს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, რ. გ-იას სამუშაო ოთახში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მისივე სამსახურებრივი სეიფიდან ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ერთი ცალი 12,7X108 მმ კალიბრის ვაზნა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. გ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ემყარება საეჭვო და დაუშვებელ მტკიცებულებებს; სასამართლომ არ დაკითხა ის მოწმეები, რომელთა დაკითხვის შედეგად დადასტურდებოდა მასზე და მის ოჯახზე შანტაჟის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და დაშინების ფაქტები; სასამართლომ დაარღვია ყველა მოქმედი კანონის მოთხოვნა, როდესაც უარყო დაცვის მხარის ყველა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ; სასამართლოს განაჩენი ემყარება მხოლოდ რ. მ-იას ჩვენებას, სასამართლოს განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და არ არის საკმარისი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; განაჩენში ჩამოყალიბებული არც ერთი დასკვნა და გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული.

მსჯავრდებულ რ. გ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. ქ-ვა კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის დადგენილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობის უარყოფით, რომლითაც დაცვის მხარე ითხოვდა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოწმეთა დაკითხვას, არსებითად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი, საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის I ნაწილის "თ" ქვეპუნქტისა და 76-ე მუხლის III ნაწილის მოთხოვნები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნა და, საერთოდ -მთელი მუხლი, ვინაიდან რ. გ-იას სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაირღვა მსჯავრდებულის უფლება სამართლიანი სასამართლო განხილვის თაობაზე; არ მომხდარა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა; არ გამოკვლეულა აღიარებითი ჩვენებების ამსახველი ვიდეოფირი; არ გამოკვლეულა მსჯავრდებულის გამამართლებელი სხვა გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სრული მოცულობით შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ მსჯავრდებულების -რ. გ-იასა და რ. მ-იას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულების -რ. გ-იასა და რ. მ-იას მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია მსჯავრდებულ რ. მ-იას ჩვენებით, მოწმეების -თ. მ-იას, მ. შ-იას, კ. ა-იას, დ. ხ-იას, ა. პ-რის, ა. გ-იას, ფ. მ-იას ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

განაჩენის დადგენის დროს სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების -რ. გ-იასა და რ. მ-იას მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მათი პიროვნება და დაუნიშნა სამართლიანი სასჯელები.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. მ-იას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის განკარგულებით მსჯავრდებული რ. მ-ია შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი რ. მ-იას მიმართ უნდა გაუქმდეს და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე რ. მ-იას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#1563-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ უ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც უ. მ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით (2008 წლის 19 მარტის, 10 მაისისა და 22 ივნისის ეპიზოდები) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს განაჩენით უ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა (2008 წლის 19 მარტის, 10 მაისისა და 22 ივნისის ეპიზოდები) და 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, შეკრების პრინციპით, სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -3000 ლარი.

უ. მ-შვილს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 22 ივნისიდან.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

2007 წლის 17 ნოემბერს უ. მ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

2008 წლის 19 მარტს თბილისში, ბ-შვილისა და ა-ლის ქუჩების გადაკვეთაზე და 2008 წლის 10 მაისს ბ-შვილისა და რ-ძის გამზირის გადაკვეთაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს უ. მ-შვილი და გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც მას ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევის დასკვნის თანახმად, ორჯერვე დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის“ მიღების ფაქტი.

2008 წლის 22 ივნისს, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უ. მ-შვილმა შეიძინა გარკვეული პრეპარატები, დაამზადა ნარკოტიკული ნივთიერება „ეფედრონის“ შემცველი ხსნარი, ნაწილი მოიხმარა, დანარჩენ ნაწილს კი უკანონოდ ინახავდა. ხსენებული ნარკოტიკული ნივთიერება მან შარვლის ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა დიდმის ტერიტორიაზე რა დროსაც იგი შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. პატრულ-ინსპექტორების დანახვაზე მან მკვეთრად შეცვალა მოძრაობა და შეეცადა მიმალვას, მაგრამ დააკავეს ეჭვმიტანილის სახით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ დამზადება-შენახვის ფაქტზე. მისი პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა ორი ვარდისფერი, ერთჯერადი პლასტმასის ჭიქა შავი ფერის მასით, სამი ერთჯერადი მოხმარების შპრიცი, ექვსი აბი, მოთავსებული ერთ ფირფიტაზე წარწერით – „ეფედრონი“ და 20-მილიგრამიანი ერთჯერადი მოხმარების შპრიცი, მასში მოთავსებული გამჭვირვალე ფერის სითხით.

უ. მ-შვილი გადაიყვანეს ნარკოლოგიურ ცენტრში და ჩატარებული გამოკვლევის #3413366 დასკვნით: „იგი კლინიკურად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ლაბორატორიულად კი დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი“.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #714/სქ დასკვნის თანახმად: უ. მ-შვილის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ერთჯერადი მოხმარების, 20 მლ ტევადობის შპრიცში არსებული, 8 მლ ოდენობის გამჭვირვალე, უფერო ხსნარი წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „ეფედრონის“ შემცველ ხსნარს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ეფედრონის“ რაოდენობა შეადგენს 0, 0512 გრამს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ უ. მ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა. აპელანტები ითხოვდნენ მსჯავრდებულის ბრალდებიდან სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამორიცხვასა და ამ ნაწილში მის გამართლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება: უ. მ-შვილს მსჯავრდებიდან ამოერიცხა მითითება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ დამზადებაზე, სასჯელად კი განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა უ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: უ. მ-შვილის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -პ. გ-ძის, ნ. ტ-ძის ჩვენებებით, ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის 2008 წლის 23 ივნისის #714/სქ დასკვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ნოემბრის დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული უ. მ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით (2008 წლის 19 მარტის, 10 მაისისა და 22 ივნისის ეპიზოდები) გათვალისწინებული ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

მსჯავრდებულ უ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 19 მარტის, 10 მაისისა და 22 ივნისის ეპიზოდები) საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა -3000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ უ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით მსჯავრდებული უ. მ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

მსჯავრდებულ უ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 19 მარტის, 10 მაისისა და 22 ივნისის ეპიზოდები) საბოლოო სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -3000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#1306-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-შვილის დამცველის, ადვოკატ კ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განაჩენით ა. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

ა. კ-შვილს ბრალი დაედო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 7 ივლისს ყვარლის რაიონში მცხოვრებმა არასრულწლოვანმა ლ. ყ-შვილმა და გ. კ-შვილმა იჩხუბეს, რა დროსაც გ. კ-შვილმა სცემა ლ. ყ-შვილს და მიაყენა მას სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ჩხუბის დამთავრებისთანავე სახლში მიმავალი, ნაცემი ლ. ყ-შვილი გზაზე შეხვდა თავის მამას, მ. ყ-შვილს, რომელსაც უთხრა, რომ სცემა გ. კ-შვილმა. ნასვამი მ. ყ-შვილი გაბრაზდა და შვილთან ერთად გაემართა გ. კ-შვილის საც-

ხოვრებელი ბინისკენ მისი და მისი ოჯახის წევრების სანახავად და საქმის გასარკვევად. მათ სახლამდე მ. ყ-შვილმა გზაზე დაინახა გ. კ-შვილი, რომელსაც თავისთან მოუხმო, მაგრამ შეეშინდა და გაიქცა სახლში, სადაც მივიდა მ. ყ-შვილი. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ გ. კ-შვილის ძმა ა. კ-შვილი და ბებია ც. კ-შვილი. მ. ყ-შვილის ძახილზე კართან მივიდნენ ა., ც. და გ. კ-შვილები, რომლებთანაც მ. ყ-შვილს მოუხდა კამათი გ. კ-შვილის მიერ თავისი ვაჭიშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით. კამათი ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც მ. ყ-შვილს ა. კ-შვილმა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიზნით, დანა დაარტყა გულმკერდის მიდამოში. მ. ყ-შვილი იმავე დღეს გადაიყვანეს ყვარლის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას აღმოუჩინეს სამედიცინო დაზიანება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ხ-შვილმა. თავისი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვდა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას ა. კ-შვილის მიმართ და მის ნაცვლად ახალი, გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. მ. ყ-შვილს სიცოცხლისათვის საშიში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა არა ა. კ-შვილმა, არამედ მისმა ძმამ, აწ გარდაცვლილმა გ. კ-შვილმა. გარდა ამისა, აპელანტის განმარტებით, წინასწარი გამოძიებისას დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საგამოძიებო ვადები, რის გამოც ბათილია ყოველგვარი საპროცესო მოქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ა. კ-შვილის დამცველის, ადვოკატ კ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ყვარლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება: ა. კ-შვილს შეფარდებული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით -შეუმცირდა 1 წლით და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. კ-შვილის დამცველმა კ. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ ა. კ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმავე მოტივებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. კ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ ა. კ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული ა. კ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ა. კ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მისი შეწყალების გამო ა. კ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება, გაფლანგვა

განჩინება

#1460-აპ

23 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ თ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განაჩენით გ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

გ. გ-ძეს მსჯავრი დაედო სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებისათვის, რომელიც იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ გამგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2002 წლის 9 დეკემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მუშაკებმა ჩაატარეს აუქციონი და ქ. თბილისში მდებარე მოქალაქე თ. მ-ძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა მიეკუთვნა გ. გ-ძეს. 2004 წლის 4 მარტს თ. მ-ძე თბილისის სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებმა დაუსწრებლად გამოასახლეს ხსენებული ბინიდან, ხოლო ბინაში არსებული, მისი კუთვნილი ყველა საყოფაცხოვრებო ნივთი აღიწერა, დაილუქა და აღმასრულებელმა შესანახად გადასცა გ. გ-ძეს.

2004 წლის ივლისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, გ. გ-ძე იმყოფებოდა რა ქ. თბილისში მდებარე საცხოვრებელ ბინაში, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლების მიერ აღწერილი და მისთვის შესანახად მიზარებული თ. მ-ძის კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც იმ დროისათვის იმყოფებოდა მის მართლზომიერ გამგებლობაში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. გ-ძემ იქირავა მუშები, რომლებმაც, მისი დავალებით, თ. მ-ძის საყოფაცხოვრებო ნივთები მოათავსეს მის მიერვე მოყვანილ სატვირთო ავტომანქანაზე, რის შემდეგაც გ. გ-ძემ, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით მითვისა რა თ. მ-ძის საყოფაცხოვრებო ნივთები, გადაზიდა გამოძიებით დაუდგენელ ადგილას. ამ ქმედებით თ. მ-ძეს მიაღდა 6051 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. გ-ძემ და მისმა დამცველმა თ. ბ-შვილმა, აგრეთვე დაზარალებულმა თ. მ-ძემ.

აპელანტი -დაზარალებული თ. მ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას -გ. გ-ძისათვის შეფარდებული სასჯელის, როგორც აშკარად ლმობიერის, გამკაცრებასა და მისთვის სასჯელის ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებას და ქონებრივი და მატერიალური ზიანის სრულ ანაზღაურებას.

აპელანტი -მსჯავრდებული გ. გ-ძე და მისი დამცველი, ადვოკატი თ. ბ-შვილი, თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განაჩენის, როგორც აშკარად უკანონო და დაუსაბუთებლის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ, თუ თ. მ-ძეს საკუთარი ნივთების წაღება უნდოდა, მას ამისათვის საკმარისი დრო ჰქონდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ თ. ბ-შვილის, აგრეთვე დაზარალებულ თ. მ-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. გ-ძის დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიმართ და შეამოწმა მისი დამცველის, ადვოკატ თ. გ-ძის საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ გ. გ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული გ. გ-ძე შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალბულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ გ. გ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე გ. გ-ძის მიმართ, მისი შეწყალბების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა; ხულიგნობა

განჩინება

#1315-აპ-08

20 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. თ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით ვ. ბ-ძე -ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა და ხულიგნობა, ჩადენილი ძალადობითა და იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 28 დეკემბერს, დაახლოებით 18.30 საათზე, ქ. თბილისში მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის წინ ვ. ბ-მემ უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა აღნიშნული კორპუსის წინ შეგროვილი, დაახლოებით 30 კაცის მიმართ აშკარა უპატივცემულობა, კერძოდ: უცენზურო სიტყვებით მიმართავდა იქ მყოფ საზოგადოებას და ძალადობით, დანის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა დაზარალებულებს -კ. ლ-ვასა და თ. ლ-იას. მისი ხულიგნური ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში. ვ. ბ-მემ თავის ხელთ არსებული დანით, განზრახ მოკვლის მიზნით, ბ. გ-უას მიაყენა მრავლობითი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბ. გ-უა ფაქტის შემსწრე პირებმა გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა სიკვდილს.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ბ-მეს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით მისჯა 8 წლით, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. თ-შვილმა. მან ითხოვა ვ. ბ-მის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის განსაზღვრა მსჯავრდებულის წარსულის, პირადი და ოჯახური მდგომარეობისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ ვ. ბ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. თ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ ვ. ბ-მემ რეალურად ჩაიდინა ხულიგნობა, კერძოდ, სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას, ვ. ბ-მის გამართლებას საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 122-ე მუხლით, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის განსაზღვრას მსჯავრდებულის წარსულის, პირადი და ოჯახური მდგომარეობისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ვ. ბ-მის მიმართ და შეამოწმა მისი დამცველის, ადვოკატ ა. თ-შვილის საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ ვ. ბ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული ვ. ბ-მე შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ვ. ბ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე ვ. ბ-მის მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები-სათვის.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1182-აპ-08

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ბ. კ-ძისა და დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით ბ. კ-ძე, და დ. ხ-შვილი, ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 3 დეკემბერს ბ. კ-ძე და დ. ხ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს, ფარულად დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იმავე დღეს, დაახლოებით 24 საათზე, ბ. კ-ძე და დ. ხ-შვილი ერთად მივიდნენ დიდმის მასივში, მცხოვრებ ლ. ფ-ას კუთვნილ „ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანასთან. მისვლისთანავე, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ბ. კ-ძემ გახსნა ძრავას სარქველი, დ. ხ-შვილი კი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 100 ლარად ღირებულ აკუმულატორს. ბ. კ-ძემ დააზიანა მანქანის წინა, მარცხენა კარის საკეტის გული.

გატაცებულ ნივთთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიმალვისას დ. ხ-შვილი და ბ. კ-ძე დააკავეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებიც მივიდნენ პოლიციის განყოფილებაში შესული შეტყობინების საფუძველზე.

ბ. კ-ძემ და დ. ხ-შვილმა თავიანთი ქმედებით დაზარალებულ ლ. ფ-ას მიაყენეს 120 ლარის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის მსჯავრდებულების განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყეთ 2007 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. ხ-შვილის ადვოკატმა ს. ჯ-ძემ, ასევე -მსჯავრდებულმა ბ. კ-ძემ და მისმა ადვოკატმა ო. მ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ბ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას ქურდობა არ ჩაუდენია, დ. ხ-შვილის მიერ მანქანის აკუმულატორის ქურდობის შესახებ გაიგო პოლიციის განყოფილებაში, რის გამოც ითხოვეს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებული დ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში ს. ჯ-ძესთან ერთად იცავდა ადვოკატი ა. კ-ია, რომელსაც არ ეცნობა სხდომის დღე, ამიტომ მსჯავრდებული, ფაქტობრივად, დარჩა დაცვის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ხ-შვილი ითხოვეს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ბ. კ-ძისა და დ. ხ-შვილის მიმართ და შეამოწმა მათი საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ ბ. კ-ძისა და დ. ხ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულები -ბ. კ-მე და დ. ხ-შვილი შეწყალებულ იქნენ და გათავისუფლდნენ საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ბ. კ-მისა და დ. ხ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე ბ. კ-მისა და დ. ხ-შვილის მიმართ, მათი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

განჩინება

#1401-აპ-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის განაჩენით: მ. ნ-მე, პროკურატურასთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, მის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გარეშე, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე და მას, იმავე კოდექსის 50-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, საიდანაც სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 4 წელი საქართველოს სსსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით;

გ. ც-მე, მსჯავრდებულ იქნა და სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საქართველოს სსსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით;

გ. ბ-მე, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით;

ნ. ნ-შვილი, -მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 3 თვითა და 17 დღით, რის გამოც მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 3 თვისა და 17 დღის ვადით.

იმავე განაჩენით სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მსჯავრდებულ მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 3000 ლარის გადახდა დაზარალებულ დ. ტ-შვილის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, ნ. ნ-შვილს, გ. ბ-ძესა და მ. ნ-ძეს მსჯავრი დაედოთ თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. იმავე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ იქნა გ. ც-ძემ, იგი მსჯავრდებულ იქნა გაუპატიურებისათვისაც, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. მათი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 22 ივნისს გ. ც-ძემ, ჰქონდა რა მეგობრული ურთიერთობა 1989 წლის 1 ოქტომბერს დაბადებულ დ. ტ-შვილთან, განიზრახა ცოლად შერთვის მიზნით მისი მოტაცება.

აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი წინასწარ დაუკავშირდა და შეუთანხმდა პირთა ჯგუფს, კერძოდ, თავის მეგობრებს -მ. ნ-ძესა და ნ. ნ-შვილს. ამის შემდეგ მათ ქ. ბათუმში დაიქირავეს ტაქსი -"ფოლკსვაგენ -გოლფის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მძღოლი გ. ბ-ძე. ისინი მივიდნენ ქ. ბათუმში, საშუალო სკოლის ტერიტორიაზე. ამ დროს გ. ც-ძემ შენიშნა სკოლიდან გამოსული დ. ტ-შვილი და მისი თანმხლები მეგობარი მ. ბ-ძე, რომლებსაც გ. ც-ძე მიუახლოვდა სასაუბროდ. ამის შემდეგ გ. ც-ძემ, მ. ნ-ძემ და ნ. ნ-შვილმა დ. ტ-შვილი, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით, ჩასვეს ზემოხსენებულ "ფოლკსვაგენ -გოლფის" მარკის ავტომანქანაში, სადაც დ. ტ-შვილი თავის დასაღწევად უწყევდა მათ როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ წინააღმდეგობას. ზემოხსენებულმა პირებმა მათ მიერ უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი დ. ტ-შვილი მიიყვანეს ხ-ის რაიონის სოფელ მ-ში, ზ. ლ-ძის საცხოვრებელ სახლში. ტაქსის მძღოლი გ. ბ-ძე გაბრუნდა უკან, ქ. ბათუმის მიმართულებით, ხოლო გ. ც-ძე, მ. ნ-ძე, ნ. ნ-შვილი, ასევე დ. ტარიელაშვილი დარჩნენ ზ. ლ-ძის სახლში.

დაზარალებულ დ. ტ-შვილის სოფელ მ-ში, კერძოდ კი ზ. ლ-ძის ოჯახში ყოფნის პერიოდში, იქ მივიდნენ გ. ც-ძის ნათესავები -დ. ბ-ძე, ვ. ბ-ძე და მისი მეუღლე რ. ც-ძე.

დაზარალებული დ. ტ-შვილი იყო აღელვებული და მას გ. ც-ძის ნათესავმა ვ. ბ-ემ დააღვივინა დამამშვიდებელი მედიკამენტები აბების სახით, რის შემდეგაც დაზარალებულმა დ. ტ-შვილმა იგრძნო სისუსტე და მოღუნება. ამის შემდეგ, 2006 წლის 22 ივნისს, ღამით, დ. ტ-შვილი გადაიყვანეს ხ-ის რაიონის სოფელ კ-ში -დ. და ლ. კ-ძეების საცხოვრებელ სახლში, სადაც გ. ც-ძემ ისარგებლა იმით, რომ დაზარალებული დ. ტ-შვილი იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში და ხ-ის რაიონის სოფელ კ-ში მცხოვრებ დ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, ერთ-ერთ საძინებელ ოთახში, იძულებით, დ. ტ-შვილის ნების საწინააღმდეგოდ, მასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი.

2006 წლის 23 ივნისს, გამთენიისას, დ. ტ-შვილი სოფელ კ-დან გადაიყვანეს ხ-ის რაიონის სოფელ რ-ში -ნ. დ-ძის საცხოვრებელ სახლში, საიდანაც 2006 წლის 23 ივნისს, 21 საათზე, იგი ბათუმში წაიყვანეს პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: მსჯავრდებულ გ. ც-ძის დამცველმა, ადვოკატმა რ. შ-ძემ, მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ძემ; მსჯავრდებულ გ. ბ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-ძემ; დაზარალებულ დ. ტ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ძემ.

აპელანტი, ადვოკატი რ. შ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა გ. ც-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. აპელანტი, ადვოკატი მ. ბ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა ნ. ნ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. აპელანტი, ადვოკატი გ. გ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა გ. ბ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. აპელანტი, დაზარალებულ დ. ტ-შვილის დამცველი, ადვოკატი მ. ქ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ, დაზარალებულის დავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: პროკურატურასთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად გ. ც-ძეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს

სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, მასვე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით; სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, მასვე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. ც-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით და დამატებით სასჯელად -ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, გ. ც-ძეს დამატებით დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ 450 ლარის გადახდა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

რაც შეეხება მსჯავრდებულებს -ნ. ნ-შვილსა და გ. ბ-ძეს, გასაჩივრებული განაჩენი მათ მიმართ დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ნ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულისა და მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, რის გამოც აღნიშნული განაჩენი არის უკანონო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები სრული მოცულობით მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ც-ძის, ნ. ნ-შვილისა და მ. ნ-ძის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს განაჩენით მათთვის ბრალად შერაცხული ქმედება. მათი ბრალეულობა დადასტურებულია თვით დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა გ. ც-ძის, ნ. ნ-შვილისა და გ. ბ-ძის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააკასაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ.

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ გ. ბ-ძე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულებით შეწყალებულ იქნა და იგი გაათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ამდენად, გ. ბ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შეწყალების აქტით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მისი განთავისუფლების გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულებით მისი შეწყალებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლების გამო.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1356-აპ-08

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-შვილის დამცველის, ადვოკატ გ. ს-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით ზ. გ-შვილი, -ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 4 თვის ვადით.

ზ. გ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობის, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საცავში უკანონო შეღწევით, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 11 აპრილს ზ. გ-შვილმა გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა თბილისში არსებულ ი. ფ-იას კუთვნილ მაღაზიაში განთავსებულ მოძრავ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოსყვანად იგი დაახლოებით 5:25 საათზე მივიდა ზემოთ მითითებულ მისამართზე და მომარჯვებული ქვით ჩამტვრია მაღაზიის კარი 100 ლარად ღირებული მინა, რა დროსაც განადგურდა მაღაზიაში გასაყიდად არსებული 14 ლარად ღირებული "ნემიროვის" ფირმის არაყის ბოთლი. ვიტრინის ჩამტვრევის გზით ზ. გ-შვილმა უკანონოდ შეაღწია მაღაზიაში, თუმცა მან ვერ შეძლო თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა და მაღაზიაში განთავსებული ნივთების დაუფლება, რადგან იგი დააკავეს შემთხვევის ადგილზე მისულიმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა. აღნიშნული ქმედებით ზ. გ-შვილმა დაზარალებულ ი. ფ-იას მიაყენა ქონებრივი ზიანი 114 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა ზ. გ-შვილმა და მისმა დამცველმა თ. ნ-იამ.

აპელანტი -მსჯავრდებულ ზ. გ-შვილის დამცველი, ადვოკატი თ. ნ-ია თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ზ. გ-შვილისთვის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდებას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებული წარსულში არ არის ნასამართლევი, მან ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ჰყავს პენსიონერი და ავადმყოფი მამა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა ზ. გ-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ თ. ნ-იას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი ზ. გ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა, გ. ს-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ ზ. გ-შვილისთვის სასჯელის ზომად სანქციით გათვალისწინებული მინიმუმის შეფარდებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. გ-შვილის მიმართ მისი დამცველის, ადვოკატ გ. ს-იას საჩივრის საფუძველზე, მიიჩნია, რომ ზ. გ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დგინდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული ზ. გ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. გ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულების საფუძველზე ზ. გ-შვილის მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1368-აპ-09

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით უ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით.

იმავე განაჩენით ს. გ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

უ. ქ-შვილსა და ს. გ-ძეს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 26 მარტს, საღამოს საათებში, უ. ქ-შვილი და მისი მეგობარი ს. გ-ძე იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ აგარაკზე, დროებით საცხოვრებელ სახლში. იმავე დღეს, საღამოს საათებში, უ. ქ-შვილი და ს. გ-ძე ჯართის შესაგროვებლად გავიდნენ სახლიდან და დაახლოებით 20 საათზე იმყოფებოდნენ თბილისში. ისინი შევიდნენ აღნიშნული კორპუსის სადარბაზოში, რომლის სარდაფშიც

განლაგებული იყო ამავე კორპუსში მცხოვრებთა დამხმარე სათავსები. უ. ქ-შვილმა და ს. გ-მემ, ამ სათავსებში არსებული მოქალაქეთა კუთვნილი ნივთების დაუფლების მიზნით, განიზრახეს ფარულად შეეღწიათ იქ. საერთო სარგებლობის ნაცრისფერი რკინის კარიდან შევიდნენ სარდაფში, სადაც შეამჩნიეს ამავე კორპუსის პირველ სართულზე მცხოვრები მოქალაქე ვ. ა-მის კუთვნილი სათავსი თეთრი ფერის ერთფრთიანი კარით, რომელიც ბოქლომით იყო დაკეტილი, და ამავე სადარბაზოს მეშვიდე სართულზე მცხოვრები მოქალაქე მ. ა-შვილის საკუთრებაში არსებული სათავსი, ასევე თეთრი ფერის ხის ერთფრთიანი კარით, რომელიც საკეტის დაზიანების გამო არ იყო დაკეტილი. უ. ქ-შვილმა და ს. გ-მემ ხელთ არსებული ლითონის დანისა და ბრტყელტუჩას გამოყენებით ჩამოხსნეს საკეტის ერთი მხარე და შეაღწიეს ვ. ა-მის კუთვნილ სათავსში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ დაზარალებულ ვ. ა-მის კუთვნილ ნივთებს, რითაც მას მიაყენეს 48 ლარის მატერიალური ზიანი.

უ. ქ-შვილმა და ს. გ-მემ დაზარალებულ ვ. ა-მის კუთვნილი ზემოთ აღნიშნული ნივთები მოათავსეს მისსავე ტყავის ყავისფერ ხელჩანთაში, რის შემდეგაც თეთრი ფერის ხის ერთფრთიანი კარით შეაღწიეს ა. ა-შვილის კუთვნილ სათავსში, სადაც, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ დაზარალებულ ა. ა-შვილის კუთვნილ ნივთებს, რითაც მას მიაყენეს 25 ლარის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -უ. ქ-შვილმა და ს. გ-მემ.

მსჯავრდებული უ. ქ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მისთვის სასჯელის მინიმუმის შეფარდებას, ასევე მის მიმართ დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის მოხსნას იმ მოტივით, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს ასაკოვანი, პენსიონერი მშობლები, რომლებიც იმყოფებიან მის კმაყოფაზე და საჭიროებენ მის მზრუნველობას, დაზარალებულებს ზიანი აუნაზღაურდათ და მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ ს. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულ უ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ უ. ქ-შვილს შეფარდებული სასჯელი თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით შეუმცირდა 6 თვით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 3 თვის ვადით, მასვე მოეხსნა დამატებითი სასჯელის ზომად შეფარდებული სასჯელი -ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ს. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის, როგორც ზედმეტად მკაცრის, შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ს. გ-მისა და უ. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა ს. გ-მემ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულებაც არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ს. გ-მისათვის თავისუფლების აღკვეთისა და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულ ს. გ-მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც უსამართლო ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი შეამოწმა რა სარევიზიო წესით უ. ქ-შვილის მსჯავრდების ნაწილშიც, თვლის, რომ მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული უ. ქ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უ. ქ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულ ს. გ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე იმავე განაჩენით მსჯავრდებულ უ. ქ-შვილის მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გასაღება

განჩინება

#153-აპ-09

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების: თ. შ-ს, კ. ჩ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: გ. პ-ს, თ. წ-ს, ი. შ-ს, მ. ჯ-სა და მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით:

მ. ბ-ი, თ. შ-ე, გ. მ-ე, გ. ლ-ა, კ. ჩ-ე ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მათ სასჯელად განესაზღვრათ 4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 20 ივნისიდან.

მათ მსჯავრი დაედოთ ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებასა და გასაღებაში ჯგუფურად, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში, ავტომანქანების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, კ. ჩ-ე შეხვდა ზ. გ-ს და შეპირდა, რომ მას დაუმზადებდა დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურებს და სასა-

ქონლო ზედნადებებს, აღნიშნულ დოკუმენტებში ფიქტიურად დაფიქსირებული საქონლის ღირებულების 15%-ის სანაცვლოდ. კ. ჩ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. ლ-ს, რომელიც მუშაობდა ელიავას ბაზრობაზე მუშად. მათ ერთად განიზრახეს ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2008 წლის 19 ივნისს გ. ლ-ა დაუკავშირდა თავის ნაცნობ გ. მ-ს, რომელიც ასევე მუშაობდა ელიავას ბაზრობაზე და სთხოვა დახმარება ყალბი ანგარიშ-ფაქტურებისა და ზედნადებების დამზადებაში, რაშიც ამ უკანასკნელს გადაუხდოდა ფაქტურაში დაფიქსირებული საქონლის საერთო ღირებულების 9%-ს. გ. მ-ე თავის მხრივ დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობ თ. შ-ს და სთხოვა ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოწერა, რაშიც თ. შ-მ მას მოსთხოვა საქონლის ღირებულების 7%. თ. შ-ე დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თავის მხრივ დაუკავშირდა მ. ბ-ს, რომელსაც დარეგისტრირებული ჰქონდა შპს „ს-ო 2008“, იდგა აღრიცხვაზე, როგორც დღგ-ის გადამხდელი და დიდუბე-ჩუღურეთის რეგიონული ცენტრიდან გამოტანილი ჰქონდა დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები.

2008 წლის 20 ივნისს მ. ბ-მ, საქონლის ღირებულების 6%-ის სანაცვლოდ, თავის მიერ გამოტანილი სერია ბბ-03 #905652 დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა დაამზადა ყალბად. კერძოდ, მასში შეიტანა ყალბი მონაცემები, რომ, თითქოსდა, შპს „მ-სერვისს“ შპს „ს-ო 2008-სგან“ 2008 წლის 19 ივნისს შეძენილი ჰქონდა სულ 40 016,16 ლარის ღირებულების 18 ტონა შავი ლითონის ნაგლინი. აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები მ. ბ-მ შეავსებინა და დაამოწმებინა შპს „ს-ო 2008-ის“ მრგვალი ბეჭდით შპს „ს-ო 2008-ის“ დირექტორს -ს. ს-ს ისე, რომ ს. ს-მ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

2008 წლის 20 ივნისს, შეთანხმებისამებრ, მ. ბ-მ ყალბი საგადასახადო დოკუმენტაცია გადასცა თ. შ-ს, რომელმაც თავის მხრივ ზემოთ ხსენებული დოკუმენტები მიაწოდა გ. მ-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა გადასცა გ. ლ-ს. გ. ლ-ა დაუკავშირდა კ. ჩ-ს, რომლებიც თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე შეხვდნენ ზ. გ-ს და ყალბი სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გადაცემის დროს დააკავეს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულის: კ. ჩ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა: თ. წ-მ, ი. შ-მ, მ. ჯ-მ და მსჯავრდებულებმა -თ. შ-მ და გ. მ-მ.

აპელანტს, მსჯავრდებულ კ. ჩ-ს ინტერესების დამცველს, ადვოკატ თ. წ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არასამართლიანად მიაჩნია. მისი განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა კ. ჩ-ს პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა, ობიექტურად არ შეაფასა მის მიერ ჩადენილი ქმედება და არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა.

გამომდინარე იქიდან, რომ კ. ჩ-მ დაკავებისთანავე აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, წარსულში არ არის ნასამართლევი და არ ყოფილა შემჩნეული რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, წინასწარი გამოძიების პერიოდში ხელს უწყობდა გამოძიების ორგანოებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მისი ოჯახი არის აფხაზეთიდან დევნილი და რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, მისი და და დედა არიან ავადმყოფები და სჭირდებათ სამედიცინო მკურნალობა, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და კ. ჩ-ს მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

აპელანტს, მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამცველს, ადვოკატ ი. შ-ს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი.

გამომდინარე იქიდან, რომ მ. ბ-ი წარდგენილ ბრალდებაში მთლიანად ცნობს თავს დანაშაულებად, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არ არის ნასამართლევი, მნიშვნელოვნად გაუარესებული აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, მ. ბ-შვილისათვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრის თვალსაზრისით.

აპელანტს, მსჯავრდებულ გ. ლ-ს ინტერესების დამცველს ადვოკატ მ. ჯ-ს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი. აპელანტის განმარტებით, გ. ლ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დანაშაულებად, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. მას ჰყავს გულით ავადმყოფი დედა, რომელსაც ესაჭიროება ოპერაცია, მის კმაყოფაზე იმ-

ყოფება ასევე ავადმყოფი დისშვილი. მისი ოჯახი სოციალურად და ეკონომიკურად გაჭირვებულ ფენას განეკუთვნება, რამაც იგი მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე. გ. ლ-ს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, წარსულში ნასამართლევი არ არის, ხასიათდება დადებითად, არასოდეს ყოფილა შემჩნეული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტს მიაჩნია, რომ გ. ლ-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელი შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებასთან. მან სააპელაციო საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და გ. ლ-ს მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

აპელანტს, მსჯავრდებულ თ. შ-ს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი. იგი წარდგენილ ბრალდებაში მთლიანად ცნობს თავს დამნაშავედ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, არ არის ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად, კმაყოფიანად ჰყავს მეუღლე, რომელიც წლების განმავლობაში არის ონკოლოგიური ავადმყოფი და საჭიროებს მუდმივ მოვლა-პატრონობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და მისთვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

აპელანტს, მსჯავრდებულ გ. მ-ს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი, ვინაიდან დადგენილი განაჩენით მის მიმართ განსაზღვრული სასჯელის ზომა არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. აპელანტის განმარტებით, მან წარდგენილ ბრალდებაში მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ, აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არ არის ნასამართლევი, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი არ გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან სააპელაციო საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, მისთვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრის თვალსაზრისით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების: თ. შ-ს, კ. ჩ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა: გ. პ-მ, თ. წ-მ, ი. შ-მ, მ. ჯ-მ და მსჯავრდებულმა გ. მ-მ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულების: თ. შ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ადვოკატები: გ. პ-ი, ი. შ-ე და მ. ჯ-ი ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად. კ. ჩ-ს ადვოკატი თ. წ-ა და მსჯავრდებული გ. მ-ე ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და სასჯელის მინიმუმის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულებს: კ. ჩ-ს, გ. მ-ს და თ. შ-ს დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეთ, ხოლო მსჯავრდებულ გ. ლ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულების: თ. შ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ადვოკატების: გ. პ-ს, ი. შ-ს და მ. ჯ-ს მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და საქმის დაბრუნების თაობაზე იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად. პალატა ასევე არ იზიარებს კ. ჩ-ს ადვოკატის -თ. წ-ს და მსჯავრდებულ გ. მ-ს მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და სასჯელის მინიმუმის შეფარდების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე -დამამძიმებელი გარემოებები და მათ ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულების: კ. ჩ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს, თ. შ-სა და გ. მ-ს აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებლის -ზ. გ-ს, მსჯავ-

რდებულ მ. ბ-ს ნათლულის -ს. ს-ს, მ. კ-ს ჩვენებებით, ეჭვმიტანილების დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, მ. ბ-ს ბინის ჩხრეკის ოქმით, კვების ობიექტის „მ -ეს“ ჩხრეკის, ამოღების ოქმებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულთათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის #279 განკარგულებით მსჯავრდებულები: კ. ჩ-ე, გ. მ-ე, თ. შ-ე შეწყალებულ იქნენ და საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელიდან -4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან -მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -3-3 წელი, 8-8 თვე - გაუნახვერდათ და სასჯელად განესაზღვრათ 1-1 წლითა და 10-10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულთა სასიკეთოდ.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის #279 განკარგულებით მსჯავრდებული გ. ლ-ა ასევე შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და გ. ლ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების: თ. შ-ს, კ. ჩ-ს, მ. ბ-ს, გ. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: გ. კ-ს, თ. წ-ს, ი. შ-ს, მ. ჯ-სა და მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის #279 განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულებს: კ. ჩ-ს, გ. მ-ს, თ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელიდან -4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან - მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -3-3 წელი, 8-8 თვე -გაუნახვერდეთ და მოსახდელად განესაზღვროთ 1-1 წლითა და 10-10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მათ სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოთ 2009 წლის 18 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის #279 განკარგულების საფუძველზე გ. ლ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#601-3-09

10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის განაჩენით დ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 თვე, 29 დღე და დ. კ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 1 წლით, 5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 30 იანვრიდან.

მასვე, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით დ. კ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენით დ. კ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე დ. კ-შვილს გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -1 წელი და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით შეეცვალა პირობითი მსჯავრით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მიუხედავად აღნიშნულისა, დ. კ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული, კერძოდ:

2009 წლის 30 იანვარს დ. კ-შვილი ადმინისტრაციული წესით დააკავეს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა და გადაიყვანეს შსს შიდა ქართლის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ განყოფილებაში. ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დ. კ-შვილი იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის“ ზემოქმედების ქვეშ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-შვილმა, რომელმაც ითხოვა სასჯელის შემსუბუქება და ჩამორთმეული უფლებების აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 თვე, 29 დღე და დ. კ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დ. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. კ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 29 აგვისტოს #606-ე განკარგულებით მსჯავრდებული დ. კ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და დ. კ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 29 აგვისტოს #606-ე განკარგულების საფუძველზე დ. კ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუქარა

განჩინება

#499-აპ-09

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ქ-შვილი გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 იანვრის განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განე-

საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ლ. ქ- შვილს დაეწყო დაკავების დღიდან -2008 წლის 30 ოქტომბრიდან.

განაჩენით ლ. ქ- შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. ქ- შვილს საცხოვრებელი სახლის თაობაზე წლების განმავლობაში კონფლიქტი ჰქონდა შვილთან -გ. ქ- შვილთან და რძალთან -ს. ს- მესთან. 2008 წლის 30 სექტემბერს ლ. ქ- შვილმა სახლში, თანასოფლელ გ. ჯ- შვილთან ერთად, მიიღო ალკოჰოლური სასმელი და დათვრა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ლ. ქ- შვილმა დაახლოებით 19:00 საათზე შეამჩინა თავისი შვილი -გ. ქ- შვილი, რომელიც არყის გამოსახდელად ამზადებდა ქვავს. ლ. ქ- შვილმა უცენზურო სიტყვებით ლანძღვა- გინება დაუწყო შვილს -გ. ქ- შვილსა და რძალს -ს. ს- მეს, ამავე დროს გადააყირავა არყის გამოსახდელი ქვავი. გ. ქ- შვილმა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები გაარიდა მამას და გაიყვანა მეზობელთან -მ. ს- შვილთან. მიუხედავად ამისა, ლ. ქ- შვილმა კვლავ განაგრძო ხულიგნური მოქმედება და ქვით შეიარაღებული გაეკიდა მათ. მ. ს- შვილის ეზოსთან მან კვლავ გააგრძელა შვილისა და რძლის გინება და ცდილობდა ქვა დაერტყა მათთვის, რა დროსაც მან მონარჯვებული საგანი -ქვა ჩაარტყა გ. ქ- შვილს მარჯვენა ხელის მტევანში. მიუხედავად ამისა, გ. ქ- შვილი შიგნიდან იჭერდა მ. ს- შვილის ეზოს ჭიშკარს და ლ. ქ- შვილს არ აძლევდა საშუალებას, შესულიყო მათთან, ხოლო ეს უკანასკნელი გარედან ქვას ურტყამდა ჭიშკარს, აწვებოდა და ამ გზით ცდილობდა შეჭრას, ამავედროულად ხმამაღალი ტონით აგრძელებდა თავისი ოჯახის წევრების ლანძღვა- გინებას. ლ. ქ- შვილის ყვირილისა და გინების ხმაზე ცუდად გახდა მეზობელი -მ. ს- შვილი, მოგროვდნენ სხვა მეზობლებიც -ი. ს- შვილი, მ. ს- შვილი, რ. ჯ- შვილი, მ. ბ- ვი, გ. ბ- ვი, თუმცა ლ. ქ- შვილი მეზობლების თანდასწრებითაც განაგრძობდა უწმაწური სიტყვებით ლანძღვა- გინებასა და ჭიშკარზე ქვების რტყმას. მისი ხულიგნური ქმედება გაგრძელდა დაახლოებით 30 წუთს, რა დროსაც მან უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა ძალადობით. ლ. ქ- შვილის ხულიგნური ქმედების აღკვეთა შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ იქ შეკრებილ მოქალაქეთა ძალისხმევით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ქ- შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ- შვილმა. წარდგენილი სააპელაციო საჩივრებით მსჯავრდებული ლ. ქ- შვილი და მისი დამცველი, ადვოკატი გ. ჯ- შვილი ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებულს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება; საქმეზე როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულყოფილად და არაობიექტურად; სამართალწარმოების ყველა ეტაპზე იკვეთებოდა ტენდენციურობა, რომელიც იმთავითვე მიზნად ისახავდა ლ. ქ- შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას; გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობა და შესაბამისი დასკვნა ლ. ქ- შვილის მიერ მასზე ინკრიმინირებული ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე დაირღვა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ; სასამართლოს არ გამოუკვლეოდა და ობიექტური შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისათვის, რაც მომხდარი ფაქტის საფუძველი გახდა, კერძოდ, სასამართლომ საქმის განხილვის ეტაპზე არ გაითვალისწინა, რომ ლ. და გ. ქ- შვილებს შორის წლების განმავლობაში არსებობდა კონფლიქტი და მათ შორის არსებული ქონებრივი დავები არაერთხელ გამხდარა როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის წესით სასამართლოს განხილვის საგანი; ჯეროვნად არ შეფასებულა საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებები, რომლებითაც დასტურდება, რომ ლ. ქ- შვილს არ ჩაუდენია ქმედება, რომელიც შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით.

საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 22 აპრილის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 იანვრის განაჩენში შეიტანა ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებულ ლ. ქ- შვილის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 151-ე მუხლზე, ხოლო სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ლ. ქ- შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ლ- მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საჩივრის მოტივები მდგომარეობს შემდეგში: კასატორი მიიჩნევს, რომ

გასაჩივრებული განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში არის უკანონო, ხოლო სასჯელის ნაწილში – აშკარად ლმობიერი; განაჩენი აგებულია რა მცდარ სამართლებრივ შეფასებებზე, მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ პირს აძლევს შესაძლებლობას, თავი აარიდოს პასუხისმგებლობასა და შესაბამის სასჯელს; სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად უგულბებელი დაზარალებულების – გ. ქ-შვილისა და ს. ს-ძის ჩვენებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ლ. ქ-შვილის ხულიგნური ქმედების გამო, ცუდად გახდა მათი მეზობელი – მ. ს-შვილი, ხმაურზე შეგროვდნენ მეზობლები და თანასოფლელები, რომლებიც მსჯავრდებულს მოუწოდებდნენ დაწყნარებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კვლავ განაგრძობდა ჩხუბსა და იქ მყოფი მოქალაქეების გინებას; სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა და მხოლოდ ცალმხრივად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ განმარტა ფაქტის უშუალო შემსწრე მოწმეთა ჩვენებები; მანვე ობიექტური სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება ლ. ქ-შვილის მიერ გ. ქ-შვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი; სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ლ. ქ-შვილი კასპის რაიონული სასამართლოს მიერ 2006 წლის 3 ნოემბრის განაჩენით ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა პირობითი მსჯავრი, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და ამჯერად უკვე მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადინა; პალატამ არ გაითვალისწინა არც დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები და არც მსჯავრდებულის პიროვნება; ცალმხრივად შეაფასა ან საერთოდ დაუსაბუთებლად უარყო მოცემულ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რასაც შედეგად მოჰყვა უსამართლო და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ლ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განაჩენი, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ ლ. ქ-შვილის მიმართ ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 29 აგვისტოს #606-ე განკარგულების შესაბამისად, ლ. ქ-შვილი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ლ-ძის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ ლ. ქ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 29 აგვისტოს #606-ე განკარგულების შესაბამისად, ლ. ქ-შვილი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ლ. ქ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 29 აგვისტოს #606-ე განკარგულების საფუძველზე ლ. ქ-შვილის მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.